პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 146 (10232) | ოთხშაბათი, 22 ივნისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

**საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის მეგობრობისადმი მიძღვნილი მიტინგი.** — მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მ. ა. იასნოვის სიტყვა. ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს სიტყვა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის სიტყვა (1-ლი და მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის საუბარი ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ჯავაჰარლალ ნერუსთან (მე-2 გვერდი).

საუზმე ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს პატივსაცემად (მე-2 გვერდი).

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ ლენინგრადში (მე-2 გვერდი).

მოსკოვს დაბრუნდა ჯავაჰარლალ ნერუ (მე-2 გვერდი).

ვ. ტიტოვი. — თვითეული კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას [illegible] ზანი (მე-2 გვერდი).

**საპატიო და საამაყოა შრომა წარმოებაში!** (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის მეგობრობისადმი მიძღვნილი მიტინგი

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ყოფნა საბჭოთა კავშირში გადაიქცა იმ მეგობრობის გრძნობების მკაფიო ამაღელვებელ დემონსტრაციად, რომლითაც საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია ინდოეთის ხალხებისადმი. ამ გრძნობებს საბჭოთა ადამიანები მხურვალედ და გულწრფელად გამოხატავდნენ ჯავაჰარლალ ნერუს მიმართ ყველგან, საბჭოთა კავშირში მისი მოგზაურობის დროს, როცა იგი ხვდებოდა საბჭოთა ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენის მრავალ წარმომადგენელს.

ინდოელი ხალხისადმი საბჭოთა ხალხის ღრმა პატივისცემისა და გულთბილი დამოკიდებულების ახალი და მკაფიო გამოხატულებაა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობას. იგი გაიმართა 21 ივნისს საღამოს „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე. სტადიონის ტრიბუნებზე იყო 80 ათასზე მეტი კაცი — მოსკოვის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები, სოციალისტური მინდვრების მშრომელები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

მიტინგს დაესწრნენ: ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი, ინდოეთის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა, საელჩოებისა და მისიების მეთაურები და თანამშრომლები, ინდოელ ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელიც სტუმრად არის სსრ კავშირში, საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტები.

გასული კვირის უკანასკნელი დღეები დედაქალაქში ღრუბლიანი და გრილი იყო. გუშინ დილიდან კი ქალაქში მზე კაშკაშებდა. უხვად ანათებდნენ მზის სხივები ვეებერთელა, ხალხით გაჭედილ სტადიონს, რომელიც მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, ტილოებით, რომლებზეც რუსულ და ჰინდი ენაზე წარწერილი იყო მისალმების სიტყვები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის მეგობრობას!".

ცენტრალურ ლოჟაში შემოდიან ჯავაჰარლალ ნერუ, ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი. მქუხარე ტაში გრიალებს ტრიბუნებზე. ყველანი ფეხზე დგებიან, გაისმის შეძახილები საბჭოთა და ინდოელი ხალხების მეგობრობის პატივსაცემად, მისალმებანი და კეთილი სურვილები ინდოეთის ხალხებისადმი. შეძახილები გაისმის ტრიბუნებზე და სტადიონის მწვანე მინდორზე, სადაც მწყობრ რიგებად დგანან სპორტსმენები. პიონერებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს ჯავაჰარლალ ნერუს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

მიტინგი გახსნა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ა. იასნოვმა.

## მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მ. ა. იასნოვის სიტყვა

დიდად პატივცემულო ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

დღეს მოსკოვის მშრომელნი შეიკრიბნენ აქ, რათა გამოთქვან ნიჭიერი და შრომისმოყვარე ინდოელი ხალხისადმი მეგობრობისა და პატივისცემის უაღრესად მხურვალე გრძნობები. ჩვენს ორ დიდ მშვიდობისმოყვარე ხალხს ერთმანეთთან აახლოებს საერთო სასიცოცხლო დაინტერესება დედამიწაზე მშვიდობის უზრუნველყოფით, იმის სურვილი, რომ მშვიდობით და მეგობრულად იცხოვრონ.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ინდოელ ხალხსა და მის მთავრობას არა სურთ ომი.

მოსკოვის მშრომელნი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სულით და გულით უსურვებენ ინდოელ ხალხს ბედნიერებასა და კეთილდღეობას, ახალ წარმატებებს კეთილშობილურ და სამართლიან ბრძოლაში მშვიდობისათვის. ჩვენ, მოსკოველები, გამოვთქვამთ ღრმა სიმპათიას დიდი ინდოელი ხალხისადმი და ჩვენს მისწრაფებას კიდევ უფრო ახლო და მტკიცე მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის ხალხებს შორის.

დედაქალაქის მცხოვრებნი მხურვალედ და გულითადად მიესალმნენ მოსკოვში ჩამოსულ ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ჯავაჰარლალ ნერუს, სადაც უნდა ყოფილიყო იგი — ქარხანაში, მეტროში, თეატრში, სკოლაში, — მოსკოველები მას ყველგან გულთბილად და სიხარულით ხვდებოდნენ.

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის მშრომელთა სახელით ერთხელ კიდევ სულით და გულით მივესალმო გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, ინდოეთის მთავრობის მეთაურს ჯავაჰარლალ ნერუს, რომელიც ჩვენს მიტინგს ესწრება. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჯავაჰარლალ ნერუს ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

გაუმარჯოს მშვიდობისმოყვარე ინდოელ ხალხს!

გაუმარჯოს და დაე განმტკიცდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობა! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, შეძახილები „ვაშა").**

ქალაქ მოსკოვის მშრომელთა მიტინგს, მიძღვნილს საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის მეგობრობისადმი, გახსნილად ვაცხადებ. **(მქუხარე ტაში).**

* * *

საზეიმოდ ჟღერს ინდოეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

სიტყვა ეძლევა ჯავაჰარლალ ნერუს. კვლავ იმართება მქუხარე ოვაცია, გრიალებს ტაში. იგი ლაპარაკობს თავის მშობლიურ — ჰინდი ენაზე.

## ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს სიტყვა

პატივცემულო ბ-ნო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ, ბ-ნო მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარევ, ძვირფასო მეგობრებო!

გთხოვთ მომიტევოთ, რომ შესაძლებლობა არა მაქვს გელაპარაკოთ რუსულად, თქვენს მშობლიურ ენაზე. ამიტომ თქვენ მოგიხდებათ მოისმინოთ თარგმანი.

ორი კვირის წინათ ჩვენ ჩამოვედით საბჭოთა კავშირში და მალე დავტოვებთ ამ დიდ ქვეყანას. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ გავიარეთ ცამეტი ათასამდე კილომეტრი, ვინახულეთ ბევრი ცნობილი ქალაქი და ვნახეთ ბევრი შესანიშნავი რამ. მაგრამ აქედან ყველაზე შესანიშნავი იყო ის მიღება, რომელიც ჩვენ გაგვიწიეს ყველგან, სადაც უნდა ვყოფილიყავით, და ის მხურვალე გრძნობები, რომლებიც ფართოდ გამოიჩინეს ჩვენს მიმართ. ჩვენ უსაზღვროდ მადლობელი ვართ ამ გრძნობებისა და გულითადი მიღებისათვის, და მე სიტყვები არ მყოფნის, რომ მთლიანად გამოვთქვა ჩემი მადლობა საბჭოთა კავშირის ხალხისადმი. **(მქუხარე ტაში).** მიუხედავად ამისა, მე მინდა მოგახსენოთ თქვენ, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, თქვენს მთავრობასა და თქვენს ხალხს ჩვენი მადლობა, და გთხოვთ გადასცეთ ჩვენი ღრმა გრძნობის ეს გამოხატულება საბჭოთა კავშირის ხალხს, რომელმაც ასეთი პატივი დაგვდო. **(ტაში).**

ჩვენ აქ ჩამოვედით იმისათვის, რომ გადავცეთ დიდი საბჭოთა კავშირის ხალხს სალამი და კეთილი სურვილები ინდოელი ხალხისაგან. **(ხანგრძლივი ტაში).** ჩვენ უკან ვბრუნდებით აღსავსენი თქვენი გულთბილი გრძნობებით და კეთილი სურვილებით ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისადმი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ აქ ისე როდი ჩამოვედით, რომ არ ვიცნობდეთ თქვენს ქვეყანას, ბევრი ჩვენგანი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს იმ დიად ცვლილებებსა და ამბებს, რაც საბჭოთა კავშირში ხდებოდა. თითქმის ოქტომბრის რევოლუციასთან ერთად, რომელსაც დიდი ლენინი ხელმძღვანელობდა, ჩვენ ინდოეთში დავიწყეთ ახალი ფაზა ჩვენი ბრძოლისა თავისუფლებისათვის. ჩვენი ხალხი მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა ამ ბრძოლას და მამაცურად და მოთმინებით იტანდა მძიმე ჩაგვრას. თუმცა ჩვენს ბრძოლაში მაჰათმა განდის ხელმძღვანელობით ჩვენ მივდიოდით სხვა გზით, მაგრამ აღტაცებული ვიყავით ლენინით და ჩვენზე გავლენას ახდენდა მისი მაგალითი. **(ხანგრძლივი ტაში).** მიუხედავად ჩვენი მეთოდების ამ განსხვავებისა, ჩვენს ხალხში არასოდეს არ ყოფილა მტრული გრძნობები საბჭოთა კავშირის ხალხისადმი. ჩვენ არ გვესმოდა ზოგიერთი ამბები თქვენს ქვეყანაში, ისევე, როგორც თქვენც, შესაძლოა, არ გესმოდათ ბევრი რამ, რაც ჩვენში ხდებოდა. ჩვენ საბჭოთა კავშირს ვუსურვებდით წარმატებას დიდ და ახალ ექსპერიმენტში, რომელსაც იგი ახორციელებდა, და ვცდილობდით, სადაც შეგვეძლო, გვესწავლა მისგან. პირობები ჩვენს ქვეყნებში სხვადასხვანაირი იყო: სხვადასხვანაირი იყო მათი გეოგრაფია, ისტორია, ტრადიციები, კულტურა და გარემოებანი, რომლებშიც ისინი ვითარდებოდნენ.

ჩვენ მიგვაჩნდა, რომ ერთი ქვეყნის ბატონობა მეორეზე საზიზღარია, და ვიბრძოდით რა საკუთარი თავისუფლებისათვის, ჩვენ თანავუგრძნობდით სხვა ქვეყნების მეცადინეობას მიეღწიათ საკუთარი განთავისუფლებისათვის, იმ ქვეყნებისა, რომლებიც იტანჯებოდნენ უცხოური ან ავტოკრატიული მმართველობისაგან. თვითეული ქვეყნისა და თვითეული ხალხის მდგომარეობა განპირობებულია მათი წარსულით და იმ განსაცდელით, რომელიც მათ გამოუვლიათ, და თვითეულ ქვეყანასა და ხალხს აქვს ზოგიერთი თავისებურება. მათ არ შეუძლიათ განვითარდნენ უცხოელთა ბატონობის პირობებში ან მაშინ, როცა მათ გარედან ახვევენ თავს ნებას. მათ შეუძლიათ განვითარდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეძლებენ მიაღწიონ იმას, რომ ჰქონდეთ თავიანთი თავის იმედი და თავიანთი ძალების იმედი და შეინარჩუნონ თავიანთი მთლიანობა. ჩვენ ყველას გვიხდება სწავლა სხვებისაგან, და არ შეგვიძლია განვცალკევდეთ, მაგრამ ეს შემეცნება არ შეიძლება ნაყოფიერი იყოს, თუ იგი თავს მოგახვიეს.

ჩვენ გვწამს დემოკრატია, თანასწორობა, განსაკუთრებული პრივილეგიების მოსპობა, და ამოცანად დავისახეთ მშვიდობიანი გზით შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ხასიათის საზოგადოება. **(მქუხარე ტაში).** რა ფორმაც უნდა მიიღოს სოციალისტური ხასიათის ამ საზოგადოებამ ან დემოკრატიამ, მან ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ცოდნა, ყველას უნდა მიანიჭოს თანაბარი შესაძლებლობანი.

ეყრდნობიან რა იმას, რომ ყოველ ქვეყანას უფლება აქვს განსაზღვროს თავისი ბედი, ინდოეთის მთავრობა და ჩინეთის სახალხო მთავრობა შეთანხმდნენ, რომ ურთიერთის მიმართ ისინი იხელმძღვანელებენ ხუთი პრინციპით. ეს პრინციპებია: ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა, თავდაუსხმელობა, საშინაო საქმეებში ურთიერთჩაურევლობა, თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა. შემდეგში ეს პრინციპები მიიღეს ბირმამ და იუგოსლავიამ, და საბჭოთა მთავრობამაც მოიწონა ისინი. **(მქუხარე ტაში).**

ბანდუნგის კონფერენციაზე ეს პრინციპები ჩამოყალიბებულ იქნა ათ პრინციპად და განსახიერდა დეკლარაციაში მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და თანამშრომლობის შესახებ. ამრიგად, ოცდაათზე მეტმა ქვეყანამ მიიღო ეს პრინციპები. ეჭვი არ მეპარება, რომ საერთაშორისო ურთიერთობის ეს პრინციპები, თუ მათ მიიღებს და სახელმძღვანელოდ გაიხდის მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს იმას, რომ შეწყდეს შიში და შეშფოთება, რაც ასე აწუხებს მსოფლიოს.

მეცნიერებისა და მის მიერ წარმოშობილი ტექნიკის პროგრესმა სახე შეუცვალა მსოფლიოს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, და მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებით იცვლება ადამიანთა წარმოდგენა თავიანთ თავზე და მსოფლიოზე. დროისა და სივრცის კონცეპციებიც კი შეიცვალა, და ჩვენს წინაშე ისახება უდიდესი შესაძლებლობანი გამოვიკვლიოთ ბუნების საიდუმლოებანი და კაცობრიობის საკეთილდღეოდ გამოვიყენოთ ჩვენი ცოდნა. მეცნიერებამ და ტექნიკამ გაათავისუფლეს კაცობრიობა იმ მძიმე ტვირთის მნიშვნელოვანი ნაწილისაგან, რომელიც მას მხრებზე აწევს, ახალი პერსპექტივები დაგვისახეს და დიადი ძალა მოგვანიჭეს. ეს ძალა შეგვიძლია გამოვიყენოთ საყოველთაო კეთილდღეობისათვის, თუ ჩვენს მოქმედებაში ვიხელმძღვანელებთ სიბრძნით, ან, თუ მსოფლიო გაგიჟდა ან სისულელე ჩაიდინა, მან შეუძლია მოისპოს თავი სწორედ მაშინ, როცა ჩვენ მივადექით უდიდეს აღმოჩენებსა და ტრიუმფს.

ამიტომ მშვიდობის საკითხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ჩვენ დაინტერესებული ვართ ჩვენი ცივილიზაციის პროგრესით ან თუნდაც მისი შენარჩუნებით. მშვიდობა, ჩვენი წარმოდგენით, არის არა უბრალო თავშეკავება ომისაგან, არამედ საერთაშორისო ურთიერთობისადმი აქტიური და დადებითი მიდგომა, რომელსაც მოსდევს უწინარეს ყოვლისა არსებული დაძაბულობის შენელება. მშვიდობა არის აგრეთვე ცდა — გადავწყვიტოთ ჩვენი პრობლემები მოლაპარაკების გზით და შემდგომ გავაძლიეროთ ქვეყნების თანამშრომლობა სხვადასხვა გზით. კულტურული და მეცნიერული ურთიერთობა, ისევე როგორც იდეების გაცვლა, გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლა, შეიძლება გაძლიერდეს. ჩვენ უნდა შევეცადოთ აღმოვფხვრათ ყველა დაბრკოლება და ბარიერი, რომელიც ხელს უშლის ჩვენი შეგნებისა და მხნეობის ზრდას, აგრეთვე სხვა დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიან საერთაშორისო თანამშრომლობას. არ არსებობს არავითარი მიზეზი იმისათვის, რომ ქვეყნებმა, რომლებსაც სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური ან ეკონომიური სისტემები აქვთ, ასე არ ითანამშრომლონ იმ პირობით, რომ ისინი არ ჩაერევიან ერთმანეთის საქმეებში და არ მოახვევენ თავს თავიანთ ნებას, არ ეცდებიან დაამყარონ თავიანთი ბატონობა.

სადაც კი ვიყავი საბჭოთა კავშირში, ყველგან ვხედავდი მგზნებარე მისწრაფებას მშვიდობისადმი. მე მწამს, რომ ადამიანთა უდიდეს უმრავლესობას ყოველ ქვეყანაში სწყურია მშვიდობა, მაგრამ შიში სხვების წინაშე ხშირად უბნელებს მათ შეგნებას და აიძულებს სხვანაირად იმოქმედონ. სწორედ ეს შიში და სიძულვილი უნდა აღმოვფხვრათ და შევეცადოთ შევქმნათ მშვიდობის ატმოსფერო. მშვიდობას ვერ წარმოშობს ომი ან ომის მუქარა ან ომის მუდმივი მუქარა.

ჩვენ ინდოეთში მთელ ძალღონეს ვახმართ მშვიდობის საქმეს, და ჩვენს ბრძოლაშიც კი ვცდილობთ გამოვიყენოთ მშვიდობიანი საშუალებანი. მშვიდობა საჭიროა, როგორც ჩვენი საკუთარი პროგრესისათვის, ისე იმ საქმეებისათვის, რომლებიც ძვირფასია ჩვენთვის. ამიტომ ჩვენ ყველა შესაძლო საშუალებით ვესწრაფვით მშვიდობას და ვითანამშრომლებთ სხვა ქვეყნებთან ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრაში.

მე მსურს მივულოცო საბჭოთა კავშირის მთავრობას ამ ბოლო დროს მიღებულ მთელ რიგ ღონისძიებათა გამო, რომლებმაც შეანელეს საერთაშორისო დაძაბულობა და რომლებიც წვლილია მშვიდობის საქმეში. **(მქუხარე ტაში).** კერძოდ, მე მწამს, რომ საბჭოთა კავშირის უკანასკნელ წინადადებებს განიარაღების შესახებ მოჰყვება პროგრესი ამ რთული პრობლემის გადაჭრის გზაზე. განიარაღება აუცილებელია, თუ სურთ აღმოფხვრან შიში და უზრუნველყონ მშვიდობა.

ჩვენ ვგეგმავთ ჩვენს ქვეყნებში სამეურნეო და კულტურულ განვითარებას. მაშ ვგეგმოთ სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობიანი თანამშრომლობა საერთო კეთილდღეობისათვის და ომის აღმოფხვრისათვის.

ქვეყნები ხშირად დებენ პაქტებსა და კავშირებს რომელიმე ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის წინაშე შიშის გამო. დაე ჩვენი დაახლოება განისაზღვროს იმით, რომ ჩვენ მოგვწონს ერთმანეთი და გვსურს ვითანამშრომლოთ, და არა იმით, რომ ჩვენ არ მოვწონვართ სხვებს და ვცდილობთ ზიანი მივაყენოთ მათ. **(ტაში).**

ახლა, როცა მე თქვენ გელაპარაკებით, სან-ფრანცისკოში სპეციალური სესია აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რათა აღნიშნოს თავისი დაარსების მეათე წლისთავი. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ემყარება წესდებას, რომელსაც კეთილშობილური ხასიათი აქვს, და მიზნად ისახავს მშვიდობიან თანამშრომლობას. იმედები, რომლებსაც მსოფლიოს ხალხები ამ საერთაშორისო ორგანიზაციაზე ამყარებდნენ, მთლიანად არ გამართლდა, და ბევრი რამ ისეთი მოხდა, რამაც ხელი შეუშალა წესდების იდეალების განხორციელებას. მე გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობის ახალ ათეულ წელიწადში, რაც ახლა იწყება, ეს იმედები გამართლდება. **(ხანგრძლივი ტაში).** მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ იქნება მსოფლიოს ყველა ხალხის წარმომადგენელი, თუ იქ დაშვებული არ არის ზოგიერთი სახელმწიფო. განსაკუთრებით უკვე დიდი ხანია ვგრძნობთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არცნობა არა მარტო არანორმალური მოვლენაა და არ შეეფერება წესდების შინაარსს, არამედ აგრეთვე წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობის საქმის ხელშეწყობისა და საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

დღევანდელი დღის ერთ-ერთი ყველაზე სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა შორეული აღმოსავლეთის პრობლემა, მაგრამ ვერც ეს პრობლემა გადაიჭრება, თუ არ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კეთილი ნება და თანამშრომლობა. მე მჯერა ის, რომ ჩვენ მალე ვნახავთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას თავის კანონიერ ადგილზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. **(მქუხარე ტაში)**, და ის, რომ ცდებს, რომლებიც შორეული აღმოსავლეთის პრობლემის გადასაჭრელად ხორციელდება, სულ უფრო მზარდი წარმატება ექნება.

ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოში, რომელიც სიცოცხლისუნარიანია და ვითარდება და წინ მიდის ახალი აღმოჩენებისა და ტრიუმფებისაკენ, სადაც ადამიანს თავის განკარგულებაში აქვს სულ უფრო მზარდი ძალა.

იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ძალას კონტროლი გაეწევა და რომ მისი მართვა იწარმოებს სიბრძნითა და მოთმინებით, და თვითეული ქვეყანა თავის წვლილს შეიტანს საერთო კეთილდღეობისათვის.

ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა კავშირის დიდმა მიღწევებმა. მე ვნახე ამ უდიდესი ქვეყნის გარდაქმნები, რომლებიც მიღწეულია მისი ხალხის შრომისმოყვარეობით და დიდი მისწრაფებით, რომელსაც იგი წინ მიჰყავს მისი საკუთარი პირობების გაუმჯობესების გზით. მე აღტაცებული ვარ მუსიკითა და ცეკვებით, აგრეთვე უბადლო ბალეტით, რომელიც ვნახე. ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა სახელმწიფოს და ხალხის დიდმა ზრუნვამ ამ დიდი ქვეყნის ბავშვებისა და ახალგაზრდა თაობისათვის.

ერთხელ კიდევ მსურს მადლობა მოგახსენოთ თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, და თქვენს მთავრობასა და თქვენს ხალხს მათი მეგობრობისა და დიდსულოვანი სტუმართმოყვარეობისათვის. ინდოეთის ხალხი გისურვებთ კეთილდღეობას და ცდილობს ითანამშრომლოს თქვენთან ერთობლივი საქმიანობის ბევრ დარგში ჩვენი ქვეყნების საკეთილდღეოდ და მთელი კაცობრიობისათვის. **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენი ხალხებისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მეგობრობასა და თანამშრომლობას კაცობრიობის საკეთილდღეოდ! **(მქუხარე ტაში).**

* * *

დამსწრენი მხურვალე ოვაციით ეგებებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის სიტყვას.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

ამხანაგებო!

პატივცემულო პრემიერ-მინისტრო! მეგობრებო!

საბჭოთა მთავრობის სახელით, მოსკოვის მშრომელთა აქ შეკრებილი წარმომადგენლების და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით, აგრეთვე პირადად ჩემი სახელით მადლობას ვუძღვნი ჩვენს პატივცემულ სტუმარს ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ბატონ ნერუს იმ გულთბილი და მეგობრული სიტყვებისათვის, რომლებიც მან აქ თქვა ჩვენი სამშობლოს შესახებ. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, გვესიამოვნება ამ სიტყვების გაგონება ბატონ ნერუსაგან, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ როგორც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ინდოელი ხალხის ბრძოლის ერთ-ერთ გამოჩენილ ხელმძღვანელს, როგორც მშვიდობის საქმისათვის მამაც მებრძოლს. **(მქუხარე ტაში).**

საბჭოთა ადამიანები განსაკუთრებული გულთბილობით, სიხარულითა და გულწრფელი მეგობრობის გრძნობით ეგებებოდნენ ბატონ ნერუს თავიანთ მიწა-წყალზე, მიაჩნდათ რა იგი დიდი ინდოელი ხალხის წარმომადგენლად და წარმოგზავნილად.

ჩვენს ქვეყანასა და ინდოეთს შორის ძველთაგანვე არსებობს მეგობრული ურთიერთობა. ინდოეთის მრავალეროვანი ოთხასმილიონიანი ხალხის შრომისმოყვარეობამ და ნიჭმა, ხალხისა, რომელმაც თავისი მრავალი საუკუნის ისტორიის მანძილზე კულტურის უკვდავი ძეგლები შექმნა, მისმა განუხრელმა მისწრაფებამ თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისადმი, მისმა უცვლელმა მშვიდობისმოყვარეობამ ჩვენი ქვეყნის ხალხების დიდი პატივისცემა და მხურვალე სიმპათია დაიმსახურა. **(ტაში).**

საბჭოთა ადამიანები დიდი ინტერესით და თანაგრძნობით ადევნებენ თვალყურს იმ ღონისძიებებს, რომლებსაც დიდი ინდოელი ხალხი ახორციელებს, რათა შექმნას თავის ქვეყანაში საზოგადოება სოციალისტური ნიმუშით, და მიესალმებიან მის მიერ მიღწეულ წარმატებებს ეკონომიკის აღმავლობისა და ეროვნული ინდუსტრიის განვითარების საქმეში.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა შენდება მტკიცე და საიმედო ბაზაზე. იგი ემყარება ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის, თავდაუსხმელობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს.

მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ეს პრინციპები გამოაცხადეს ინდოეთმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ. შემდეგში მათ შეუერთდნენ ბირმა და იუგოსლავია, ხოლო შემდეგ, როგორც აქ უკვე თქვა ბატონმა ნერუმ, ისინი მოწონებულ იქნენ აზიისა და აფრიკის 29 ქვეყნის ბანდუნგის კონფერენციაზე და შევიდნენ ამ კონფერენციის მიერ მიღებულ დეკლარაციაში საერთაშორისო მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცების შესახებ. საბჭოთა მთავრობა აგრეთვე იწონებს ამ პრინციპებს და მიაჩნია, რომ ეს პრინციპები შეიძლება გახდეს საერთო პლატფორმა ყველა ხალხისათვის მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა დამაჯერებლად ადასტურებს დიდი ლენინის მიერ გამოცხადებული იმ დებულების სისწორეს, რომ შესაძლებელია სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა.

საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს განსაკუთრებით აახლოებს განუხრელი მისწრაფება მშვიდობისა და ყველა ხალხთან მეგობრობისადმი, ბრძოლა საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებისათვის. ჩვენს ხალხებს, რომლებიც მშვიდობიან შემოქმედებით შრომას ეწევიან, არა სურთ ომი. თვითეული მათგანი თავისი გზით მიდის ახალი, უკეთესი ცხოვრებისაკენ.

მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფა მუდამ იყო და კვლავ არის საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი და უმაღლესი პრინციპი. ამ ბოლო დროს საბჭოთა მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი ახალი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და სახელმწიფოთა ურთიერთობაში უნდობლობის აღმოფხვრა. ეს ღონისძიებებია: ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადება, საბჭოთა მთავრობის წინადადებანი შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე, სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია, წინადადება სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის დამყარების შესახებ, საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკება და სხვები.

საბჭოთა მთავრობა დათანხმდა მონაწილეობა მიიღოს ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირში, რომელიც უნდა გაიხსნას 18 ივლისს ჟენევაში. ამასთან ჩვენ ვემყარებით იმას, რომ თათბირის მიზანი იქნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის განმტკიცება. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ ეს მიზანი მიღწეულ იქნას, და იმედი გვაქვს, რომ ამ თათბირის სხვა მონაწილეებიც ეცდებიან ამას. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

წვლილი, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა მშვიდობის განმტკიცების საქმეში, თანაგრძნობით გამოხმაურებას და მხარდაჭერას იწვევს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მხრივ, მათ შორის ინდოელი ხალხის მხრივაც.

საბჭოთა ხალხი, თავის მხრივ, მაღალ შეფასებას აძლევს იმ დიდ წვლილს, რომელიც ამ ბოლო დროს ინდოეთმა შეიტანა მშვიდობის საქმეში.

ინდოეთის აქტიური მონაწილეობით საბჭოთა კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ერთად მიღწეულია დაზავება კორეაში და ბოლო მოეღო საომარ მოქმედებას ინდოჩინეთში.

ინდოეთი იყო ერთ-ერთი ინიციატორი აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციის მოწვევისა, რომელიც დიდმნიშვნელოვანი წვლილი იყო აზიისა და აფრიკის ხალხთა

(დასასრული მე-2 გვერდზე).

# საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის მეგობრობისადმი მიძღვნილი მიტინგი

(დასასრული).

ბრძოლაში თავიანთი უფლებებისა და დამოუკიდებლობისათვის, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ინდოეთი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირი, მოითხოვს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებას და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბატონ ნერუსა და ინდოეთის მთავრობის სახით გვეყოლება მოკავშირე და მეგობარი შეიარაღების შემცირებისა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის ფართო და რადიკალური პროგრამის განხორციელებაში, რომელიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა. (მქუხარე ტაში).

ინდოეთი და საბჭოთა კავშირი ახორციელებენ ერთობლივ ღონისძიებებს, რათა წარმატებით გადაიჭრას ტაივანის პრობლემა ჩინელი ხალხის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის განსაკუთრებულ მადლობას იწვევს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ერთობლივი ბრძოლა იმისათვის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიეცეს მისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ეწევიან რა აქტიურ ბრძოლას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის, საბჭოთა კავშირი და ინდოეთი განუხრელად ხელმძღვანელობენ პრინციპებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში.

გუშინ სან-ფრანცისკოში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეათე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია. მსოფლიოს ყველა ნაწილში ადამიანები დიდი იმედით მოელიან, რომ საიუბილეო სესია დასაწყისი იქნება ახალი ღონისძიებებისა, რომელთა მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფა.

ჩვენი ქვეყნის სახელით დღეს მივესალმები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მე-10 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სესიას და გამოვთქვამ საბჭოთა კავშირის ხალხებისა და საბჭოთა მთავრობის მხურვალე სურვილს, რომ მსოფლიოს ხალხთა ამ ორგანომ კვლავაც მედგრად იშრომოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების იდეალების განსახორციელებლად საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის. ჩვენი ქვეყანა და მთავრობა ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ხელი შეუწყონ ამ კეთილშობილური მიზნების განხორციელებას. (მქუხარე ტაში).

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის თანამშრომლობა არ შემოიფარგლება საერთაშორისო ურთიერთობის დარგით.

როცა ვლაპარაკობთ საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის მეგობრობასა და თანამშრომლობაზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სისტემატური გაფართოება ორივე ქვეყნისათვის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური, აგრეთვე კულტურული ურთიერთობისა, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი ხალხების შემდგომ დაახლოებას.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა კავშირში ბატონ ნერუს ჩამოსვლა, ახლო ურთიერთობა საბჭოთა ხალხთან და პირადი კონტაქტის დამყარება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საქმეს. მოხარული ვარ აღვნიშნო, რომ აზრთა გაცვლამ, რომელიც ჩვენს შორის მოხდა, ცხადყო, რომ არსებობს ურთიერთგაგება და შეხედულებათა ერთიანობა მთელ რიგ საკითხებზე, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ბატონ ნერუს შესაძლებლობა ჰქონდა პირადად დარწმუნებულიყო, რომ საბჭოთა ხალხი გულწრფელად ესწრაფვის მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას. ბატონ ნერუს, უეჭველია, აგრეთვე შესაძლებლობა ჰქონდა დარწმუნებულიყო, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხები გამსჭვალული არიან ინდოეთის ხალხებისადმი სიმპათიისა და მეგობრობის ღრმა და გულწრფელი გრძნობით. (მქუხარე ტაში).

საბჭოთა ხალხისა და სსრ კავშირის მთავრობის სახელით გადმოგცემთ თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ინდოეთის მთავრობას, მთელ ინდოელ ხალხს ჩვენს მისალმებას და გისურვებთ წარმატებას ინდოეთის განვითარებისა და აყვავების გზაზე. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, შეძახილები: „ვაშა!").

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას!

დაე გაიზარდოს და განმტკიცდეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების საკეთილდღეოდ! (ყველანი ფეხზე დგებიან. მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „ვაშა!").

* * *

მ. ა. იასნოვი საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის მეგობრობისადმი მიძღვნილ მიტინგს დახურულად აცხადებს.

მიტინგის დამთავრების შემდეგ სამი ათასმა სპორტსმენმა შეასრულა ვარჯიში წითელი და ნარინჯისფერი ალმებით. ისინი ერთსულოვნად იმეორებენ: „მშვიდობა მსოფლიოს!", შესძახიან: „გაუმარჯოს ინდოელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას! ვაშა, ვაშა, ვაშა!". სარბენ ბილიკზე გამოდიან მოტოციკლისტები. პირველ მანქანაზე აღმართულია ინდოეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები, სხვა მოტოციკლებზე — წითელი ტილოები წარწერით: „მშვიდობა". (საკდესი).

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის საუბარი ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ჯავაჰარლალ ნერუსთან

21 ივნისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის საუბარი ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ჯავაჰარლალ ნერუსთან.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს ლ. მ. კაგანოვიჩმა, ა. ი. მიქოიანმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა.

საუბარს დაესწრნენ ჯ. ნერუს თანმხლები პირები: ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე ა. ჰუსეინი, ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი და სსრ კავშირში ინდოეთის რესპუბლიკის საელჩოს პირველი მდივანი პ. ნ. კაული.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს დაესწრნენ: საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ვ. ვ. კუზნეცოვი.

საუბარი გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

## საუზმე ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს პატივსაცემად

21 ივნისს სსრ კავშირის აკრედიტებულმა მეთაურებმა იმ ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობებისა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ბანდუნგის კონფერენციაში, — საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩებმა: ბირმის კავშირისა — მონგ ონმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ნგუენ ლონგ ბანგმა, ინდოეთის რესპუბლიკისა — კ. პ. შ. მენონმა, ავღანეთისა — გ. ი. თარზიმ, ინდონეზიის რესპუბლიკისა — სუბანდრიომ, თურქეთისა — ს. ესინმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა — ლიუ სიაომ, საგანგებო დესპანებმა და სრულუფლებიანმა მინისტრებმა: ეთიოპიისა — გ. ზალაკამ, ტაილანდისა — შ. სრესტაპუტრამ, სირიისა — ფ. ხანიმ, ლიბანისა — ა. ნაჯარმა, დროებითმა საქმეთა რწმუნებულებმა: ირანისა — ა. ეთესამიმ, პაკისტანისა — მ. აჰმადმა, ეგვიპტისა — ნ. ა. ხ. კედრიმ საუზმე გამართეს ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს პატივსაცემად.

საუზმეს დაესწრნენ ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, მისი ქალიშვილი ინდირა განდი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე ა. ჰუსეინი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეს დაესწრნენ — ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. ვ. კუზნეცოვი, ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში მ. ა. მენშიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე გ. ტ. ზაიცევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის განყოფილების გამგის მოადგილე მ. ა. მაქსიმოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგის მოადგილე ა. მ. ლედოვსკი.

## მოსკოვს დაბრუნდა ჯავაჰარლალ ნერუ

21 ივნისს დილით, საბჭოთა კავშირში ათი დღის მოგზაურობის შემდეგ, მოსკოვს დაბრუნდნენ ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ და მისი თანმხლები პირები.

ლენინგრადის ვაგზალში ჯავაჰარლალ ნერუს შეხვდნენ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე მ. ა. მაქსიმოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტის მოადგილე პოლკოვნიკი ა. ტ. ვერეშჩენკო, საბჭოთა პრესის წარმომადგენლები.

ჯავაჰარლალ ნერუს შეხვდნენ აგრეთვე ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი და საელჩოს თანამშრომლები.

ვაგზალი მორთული იყო ინდოეთის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით.

ამავე დროს მოსკოვს დაბრუნდა ჯგუფი ინდოელი ჟურნალისტებისა, რომლებიც სსრ კავშირში სტუმრად არიან საკდესის მოწვევით. (საკდესი).

# ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ ლენინგრადში

ლენინგრადი, 20 ივნისი. (საკდესი). დღეს ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ და მისი თანმხლები პირები ეწვივნენ სტალინის სახელობის ლითონის ქარხანას.

ჯ. ნერუმ, რომელსაც ახლდნენ ქარხნის დირექტორი ვ. ი. ვასილიევი, მთავარი ინჟინერი მ. ნ. ბუშუევი და საწარმოს სხვა ხელმძღვანელები, ქარხნის გაცნობა ორთქლის ტურბინის საამქროს დათვალიერებით დაიწყო. საამქროში სტუმრებს ოვაციითა და მისასალმებელი შეძახილებით შეხვდნენ. ჯ. ნერუ ავიდა საცდელ სტენდზე, სადაც დგას 25 ათასი კილოვატი სიმძლავრის ახალი ორთქლის ტურბინი, და დაათვალიერა იგი. შემდეგ იყო მექანიკურ უბნებზე, ნახა ორთქლის ტურბინების წარმოება.

ჯ. ნერუს ყურადღება ჰიდროტურბინის საამქროში მიიპყრო ახალი ტურბინის სამუშაო ბორბლის აწყობამ. ეს ტურბინი კეთდება ესტონეთის ენერგეტიკოსებისათვის. საამქროს უფროსმა ა. ა. გრუზდევმა სტუმარს გააცნო ყველაზე დიდი ჰიდროტურბინების წარმოება, რომლებიც კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურისათვის კეთდება. საამქროს ერთ განყოფილებაში დგას ვეებერთელა მიმმართველი აპარატი კუიბიშევის მეთერთმეტე ტურბინისა. ჯ. ნერუ ავიდა ამ მრავალტონიანი ნაგებობის ზედა რგოლის მოედანზე. მან დაათვალიერა აგრეთვე ზემკვიდრი ფოლადისაგან უდიდესი დეტალების დასამუშავებელი ახალი სრულყოფილი ჩარხები, რომლებითაც აღჭურვილია საამქრო და სხვა მძლავრი მექანიზმები, რომლებიც მნიშვნელოვნად აადვილებენ მუშათა შრომას.

მექანიკურ-საამწყობო საამქროში, სადაც აგრეთვე მუშავდება კუიბიშევის ტურბინების დეტალები, ინდოეთის მთავრობის მეთაურმა დაათვალიერა მიმმართველი აპარატის 100-ტონიანი რგოლი, რომლის დიამეტრი თითქმის 15 მეტრია, დაინტერესდა, თუ როგორ კეთდება მილსაშემდუღებლო აგრეგატები, რომლებსაც ახლა ქარხანაში უშვებენ ჩვენი ქვეყნის მეტალურგებისათვის.

ქარხნის დირექტორმა ვ. ი. ვასილიევმა კონფერენც-დარბაზში გააცნო ჯ. ნერუს საწარმოს ისტორია. ეს საწარმო 1957 წელს აღნიშნავს თავისი არსებობის მეასე წლისთავს. სტუმრებს უჩვენეს ფოტოსურათები, რომლებიც ცხადყოფენ საბჭოთა ტურბინმშენებლობის პროგრესს. დასასრულ ვ. ი. ვასილიევმა სამახსოვრო ალბომი უძღვნა ჯ. ნერუს. ვერცხლის ფირფიტაზე ამოკვეთილია: „ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ჯავაჰარლალ ნერუს სტალინის სახელობის ლენინგრადის ლითონის ქარხნის მშრომელთაგან". ლენინგრადელების თხოვნით ჯ. ნერუმ ავტოგრაფები დატოვა თავის წიგნზე „ინდოეთის აღმოჩენა", რომელიც ამას წინათ გამოიცა რუსულ ენაზე. მან მადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ შესაძლებლობა მისცეს გასცნობოდა ქარხანას.

— მოხარული ვარ, — თქვა ჯავაჰარლალ ნერუმ, — რომ ვნახე ქარხანა, სადაც ასეთ დიდ მანქანებს აწყობენ. ვუსურვებ კოლექტივს ახალ წარმატებებს.

გამოთხოვებისას ლენინგრადელმა ტურბინმშენებლებმა სთხოვეს სტუმრებს გადასცენ ინდოელ ხალხს მათი სალამი და მეგობრული სურვილები.

ქარხნის დათვალიერების შემდეგ ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ეწვია ჟდანოვის სახელობის პიონერთა სასახლეს. მთავარი შენობის შესასვლელთან ნორჩი ლენინგრადელები ყვავილების თაიგულებით შეხვდნენ ჯ. ნერუს. ბავშვებთან ერთად მან დაიარა სასახლის სასტუმრო ოთახები. ერთ-ერთ ამ ოთახში სტუმრებმა დაათვალიერეს საჩუქრები, რომლებიც ლენინგრადელ პიონერებს მიუღიათ ინდოეთიდან, ჩინეთიდან, საფრანგეთიდან, რუმინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

თეთრსვეტებიან დარბაზში ნორჩ ლენინგრადელთა სახელით სტუმარს მიესალმა მოსწავლე ტანია ბოგუკოვა. მან სთხოვა ჯ. ნერუს მხურვალე სალამი გადასცეს ინდოელ ბავშვებს. პიონერებმა ინდოეთის მთავრობის მეთაურს წითელი ყელსახვევი გაუკეთეს და გადასცეს თავიანთი გაკეთებული საჩუქრები — მოჩუქურთმებული კოლოფი, ხომალდის მოდელი. პიონერებმა მხურვალედ უსურვეს ჯანმრთელობა ჯავაჰარლალ ნერუს.

პრემიერ-მინისტრმა დიდხანს უყურა, როგორ თამაშობდნენ და მხიარულობდნენ ბავშვები. მან დაათვალიერა აგრეთვე სასახლის პლანეტარიუმი, ზღაპრების ოთახები, ტექნიკური წრეების წევრ მოსწავლეთა ნამუშევრის გამოფენა.

სასახლის დათვალიერების შემდეგ ჯავაჰარლალ ნერუმ მადლობა გადაუხადა პიონერებს საჩუქრებისათვის და დიდი წარმატება უსურვა ნორჩ ლენინგრადელებს. ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა აჩუქა მათ სანდალის ხის ჯოხი, რომელიც ინდოეთში წმინდა ხედ მიაჩნიათ.

დღეს სტალინის სახელობის ლითონის ქარხანას და ჟდანოვის სახელობის პიონერთა სასახლეს ეწვივნენ აგრეთვე ინდოელი ჟურნალისტები, რომლებიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობენ.

დღეს დილით თვითმფრინავით ლენინგრადიდან მოსკოვს გაფრინდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუს ქალიშვილი ინდირა განდი.

# თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას — კარგი სასილოსე ნაგებობანი

**ვ. ტიტოვი**

უკრაინის კპ ხარკოვის საოლქო კომიტეტის მდივანი.

მეცხოველეობის წარმატებით განვითარებისათვის, მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის საჭიროა მტკიცე საკვები ბაზა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა გვიჩვენა საზოგადოებრივი პირუტყვისათვის საკვების წარმოების გადიდების გზები. კოლმეურნეობებში საკვები ბაზის განმტკიცების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა სიმინდის ნათესების მკვეთრად გაფართოება.

**წლევანდელ გაზაფხულზე ხარკოვის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სიმინდი დათესეს 330 ათას ჰექტარ ფართობზე. ეს შარშანდელზე სამჯერ მეტია.** მექანიზატორთა და კოლმეურნეთა შეწყობილი მუშაობის მეოხებით სიმინდი მთელ ფართობზე დათესილია კვადრატულ-ბუდობრივი წესით, შალაშხარისხოვნად. ყველგან წარმოებს ნათესების დამუშავება ორი მიმართულებით. ამრიგად, შექმნილია მტკიცე საფუძველი კარგი მოსავლის მიღებისათვის.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრნა, რომ, რაკი მოსავალს კარგი პირი უჩანს, უკვე უზრუნველყოფილია პირობები საკვების უხვი მარაგის შესაქმნელად. ჩვენში, უკრაინაში, იტყვიან: „პური ის კი არ არის, რაც მინდორშია, პური ის არის, რაც ბეღელშია". იგივე შეიძლება ითქვას საკვებზე. არ კმარა სიმინდის მოყვანა. საჭიროა მისი აღება და შენახვა, მისგან სხვადასხვაგვარი საკვების მომზადება, მისი ეკონომიურად ხარჯვის მოწესრიგება. ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა საჭიროა კარგი სასილოსე ნაგებობანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დაგვისახა ბარტივი და ნათელი ამოცანა: თითოეულ კოლმეურნეობაში საკვები იმდენი უნდა გვქონდეს, რამდენიც აუცილებელია, რათა მთლიანად უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა და, გარდა ამისა, ერთი-ერთნახევარი ტონა სილოსი მივცეთ თითოეულ კოლმეურნეს, ვისაც ძროხები ჰყავს პირად საკუთრებაში. როდესაც ჩვენ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ამ მითითების მიხედვით ხაკოლმეურნეო აქტივის ფართო მონაწილეობით გამოვიანგარიშეთ, თუ რამდენი საკვები გვესაჭიროება, გამოირკვა, **რომ ხარკოვის ოლქის კოლმეურნეობებმა წელს მარტო სილოსი უნდა შეინახონ სულ მცირე 1,6 მილიონი ტონა.** ამ ციფრის მნიშვნელობა რომ გავიგოთ, საკმარისია ითქვას, რომ ომისშემდგომ წლებში ხარკოვის ოლქში სილოსი ინახებოდა არაუმეტეს 350 ათასი ტონისა. მაგრამ საქმე მარტო რაოდენობა როდია. დღემდე სილოსს, როგორც წესი, ინახავდნენ მოუპირკეთებელ ორმოებში. ამის გამო საკვების ერთი მეოთხედი, ზოგჯერ კი მეტიც, ყოველწლიურად ფუჭდებოდა და გადასაყრელი ხდებოდა. წინათ ასილოსებდნენ ველურ ბალახებს, მზესუმზირას, სიმინდის ღეროებს. ახლა კი უნდა დავაკონსერვოთ ასეულ ათასობით ტონა რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სიმინდის ტარო. დანაშაული იქნებოდა ამ ძვირფასი კონცენტრირებული საკვების ჩადება მოუპირკეთებელ ორმოებში და მისი გაფუჭება.

კოლმეურნეთა, მტს-ების მექანიზატორთა ღონისძიებებით, ქალაქების მშრომელთა აქტიური დახმარებით ოთხი თვის განმავლობაში **ოლქში ამოღებულ იქნა ტრანშეები 1.300 ათასი ტონა სილოსისათვის. ტრანშეების ერთ მესამედზე მეტი უკვე მოპირკეთებულია სხვადასხვა მასალით: აგურით, წიდაბეტონით, ყორექვით. ეს მუშაობა ახლაც ყველგან გრძელდება.**

ამდენი ნაგებობის არსებობა საშუალებას მოგვცემს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის შევინახოთ სამნახევარჯერ — ოთხჯერ მეტი სილოსი, ვიდრე გასულ წელს, და, გარდა ამისა, დავაკონსერვოთ სულ მცირე ნახევარი მილიონი ტონა სიმინდის ტარო ღორების გასასუქებლად. თუ ამას მივუმატებთ კიდევ საკვებ ძირხვენებს, რომელთა ნათესები წელს მნიშვნელოვნად გაფართოებულია, აგრეთვე უხეშ საკვებს, ნათელი გახდება, რომ ჩვენს ოლქში ყველა წინაპირობაა იმისათვის, რომ წელსვე შევქმნათ მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზა და ამ საფუძველზე მკვეთრად ავამაღლოთ მისი პროდუქტიულობა.

როგორ წყვეტენ ხარკოვის საოლქო პარტიული ორგანიზაცია, კოლმეურნეები და მექანიზატორები სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის ამოცანებს? რა სიძნელეების გადალახვა მოგვიხდა?

თებერვლის შუა რიცხვებში პარტიის საოლქო კომიტეტში მიმდინარეობდა სასოფლო რაიკომების მდივნების თათბირი. ამ თათბირზე პირველად ჩამოვარდა ლაპარაკი სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის შესახებ. უნდა ითქვას, რომ მაშინ ზოგიერთ, თვით კარგ მუშაკსაც კი ეჭვი შეეპარა, შეიძლებოდა თუ არა ასე მოკლე ვადაში ესოდენ დიდი მოცულობის სამუშაოთა შესრულება. პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ დასახული ამოცანის რეალობაში უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელების დარწმუნება მოგვიხდა იმიტომ, რომ რა საქმეც უნდა იყოს, წინასწარ განწირულია ჩაფუშვისათვის, თუ მისი ორგანიზატორები თვითონვე მტკიცედ არ არიან მასში დარწმუნებული. საჭირო იყო კარგი მისაბაძი მაგალითი. და ეს მაგალითიც აღმოჩნდა.

ხარკოვის რაიონის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტებმა უჩვენეს ყველას იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულება. მათ გაზაფხულის დადგომამდე გააჩაღეს სასილოსე ტრანშეების თხრა. კოლმეურნეებს წამოეშველნენ შეფები ხარკოვიდან. ტრესტ „იუჟავტოპრომსტროის" მშენებლებმა თავიანთი წარმოებისათვის ზიანის მიუყენებლად კოლმეურნეობას გამოუყვეს რამდენიმე მიწისსათხრელი მანქანა, დახმარება გაუწიეს მოსაპირკეთებელი მასალის დამზადებაში. სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის სამუშაოებს აქ ხელმძღვანელობდა სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარე ამხ. ისაკოვი.

შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის და ტრესტ „იუჟავტოპრომსტროის" მშენებელთა გამოცდილება ფართოდ გავრცელდა. პარტიის საოლქო კომიტეტის წინადადებით ამ კოლმეურნეობაში ჩავიდნენ წარმომადგენლები ყველა რაიონიდან, აგრეთვე იმ საქალაქო ორგანიზაციებიდან, რომლებიც შეფობას უწევენ კოლმეურნეობებს. მშენებლობის პრაქტიკის გაცნობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. მალე შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის მაგალითის მიხედვით ყველგან გაჩაღდა მიწის სამუშაოები.

პარტიის ბევრმა რაიკომმა, საკოლმეურნეო პირველადმა პარტორგანიზაციებმა ამ დიდ მუშაობაში გამოავლინეს თავიანთი უნარი — დარაზმონ მასები პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად. ამ მხრივ მისაბაძია ლოზოვაიას პარტიული ორგანიზაციის მაგალითი. ლოზოვაიას რაიონის კოლმეურნეობებს უნდა ამოეღოთ 125 ათასი კუბური მეტრი საერთო მოცულობის ტრანშეები. ამ სამუშაოს მოცულობა თვალსაჩინოდ რომ წარმოვიდგინოთ, უნდა ვთქვათ, რომ მთელი ომისშემდგომი წლების განმავლობაში რაიონის კოლმეურნეობებში ამოღებულ იქნა 10 ათასი კუბური მეტრი მოცულობის სასილოსე ტრანშეები.

თებერვალში კოლმეურნეობების, მტს-ების და შეფი საწარმოებისა და დაწესებულებების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების თათბირზე ყოველმხრივ განხილულ იქნა ამ ამოცანის შესრულების ღონისძიებანი. რაიკომმა წინასწარ მოამზადა და თათბირის განსახილველად გამოიტანა სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის კონკრეტული გეგმა. გეგმა შეიცავდა თითოეულ კოლმეურნეობაში სამუშაოთა მოცულობასა და ვადებს, სახსრებს, რომლებითაც ისინი უნდა შესრულდეს. გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული ადგილობრივი საშენი მასალების ფართოდ გამოყენებას.

პარტიის რაიკომი არ დასჯერდა მხოლოდ იმას, რომ კარგი ღონისძიებები შეიმუშავა. მან დიდი ორგანიზატორული მუშაობა გასწია ამ ღონისძიებათა შესასრულებლად. პირადი მაგალითი აგიტაციის ყველაზე ძლიერი საშუალებაა. ერთ-ერთ კვირადღეს პარტიის რაიკომის ყველა მუშაკი პირველი მდივნის ამხ. ევსეევის მეთაურობით ტრანშეების სათხრელად გავიდა. მათს მაგალითს მიბაძეს ქალაქის ყველა დაწესებულების მშრომელებმა. მასობრივ კვირაობათა მეთოდით მათ უდიდესი მოცულობის მიწის სამუშაოები შეასრულეს.

შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა რაიონის კომკავშირულმა ორგანიზაციამ. კომკავშირელებმა ვალდებულება იკისრეს ამოეღოთ 50.000 კუბმეტრი საერთო მოცულობის ტრანშეები. ეს ვალდებულება კომკავშირელებმა უკვე გადაჭარბებით შეასრულეს.

**ტრანშეების მოსაპირკეთებლად რაიონის მშრომელებმა ფართოდ გამოიყენეს ადგილობრივი მასალები: აგური, ორთქლმავლის წიდა, ყორექვა, კირქვა. ამის მეოხებით მშენებლობის ღირებულება მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული.**

რაიონის მშრომელებმა კომუნისტების მეთაურობით შეასრულეს პარტიის რაიკომის მიერ დასახული გეგმა. ტრანშეების ამოღება უკვე დამთავრებულია. წარმატებით წარმოებს მათი მოპირკეთების სამუშაოები.

ასევე ბეჯითად და უნარიანად წყვეტენ სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის ამოცანას ბლიზნეცის, კუპიანსკის, ვალკის, პეტროვსკოეს, სახნოვშჩინისა და ბევრი სხვა რაიონის კომუნისტები და ყველა მშრომელნი.

მისცა რა კოლმეურნეობებსა და მტს-ებს ძირითადად ადგილობრივ შესაძლებლობათა გამოყენების გზა, პარტიის საოლქო კომიტეტმა ამავე დროს მოაწყო საქალაქო ორგანიზაციების ფართო დახმარება სოფლის მშრომელებისადმი. ზოგიერთ შემთხვევაში ეს დახმარება მეტად საჭირო იყო.

უწინარეს ყოვლისა დაისვა კითხვა: როგორი ნაგებობანი ვაშენოთ? ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის რჩევით ჩვენ ავირჩიეთ სასილოსე ტრანშეა როგორც ყველაზე იაფი სახის ნაგებობა. მაგრამ სასილოსე ტრანშეების წინათ შემუშავებულმა ტიპურმა პროექტებმა ვერ დაგვაკმაყოფილა. მათ უმნიშვნელო ტევადობა ჰქონდათ, მათი აგებისას საჭირო იყო დიდძალი მოსაპირკეთებელი მასალის დახარჯვა. ამიტომ პარტიის საოლქო კომიტეტმა საპროექტო ორგანიზაციებს მიმართა თხოვნით შეექმნათ ტრანშეის ისეთი ტიპი, რომელზეც მინიმალურად დაიხარჯებოდა მოსაპირკეთებელი მასალები.

**სასოფლო-სამეურნეო მანქანების საპროექტო სახელმწიფო ინსტიტუტის ხარკოვის განყოფილების დამპროექტებლებმა წარმოადგინეს უფრო ეკონომიური ტიპის ნაგებობა: 200-300 ტონის ტევადობის ტრანშეები დამრეცი კედლებით. მოხერხდა ტონა სილოსზე მოსაპირკეთებელი მასალების საჭიროება ერთბაშად შეგვემცირებინა ორჯერ.**

ახალი პროექტი საოლქო გაზეთებმა გამოაქვეყნეს. ჩვენი ოლქისათვის იგი ტიპური გახდა,

ქალაქის საწარმოებიც მხურვალედ გამოეხმაურნენ მოწოდებას — დახმარებოდნენ კოლმეურნეებს სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში. ბევრმა საწარმომ გამონახა შესაძლებლობა ძირითადი საწარმოო გეგმის შესრულებისათვის ზიანის მიუყენებლად გამოეყო კოლმეურნეობათათვის ტექნიკის ნაწილი. უკვე აპრილში ხარკოვიდან ოლქის რაიონებში გაიგზავნა 40 მიწისსათხრელი მანქანა. სოფლებში ჩასულმა მუშებმა დისციპლინისა და შრომითი მამაცობის ნიმუშები უჩვენეს კოლმეურნეებს და თავიანთი მაგალითით გაიყოლიეს ისინი.

ტრანშეების მოსაპირკეთებლად ჩვენს ოლქში სხვადასხვა ადგილობრივ მასალებს ვიყენებდით. ამ წესს ვიცავდით არა მარტო იმიტომ, რომ მრეწველობის მიერ გამოშვებული მასალები ხშირად არ კმარა, არამედ იმიტომაც, რომ ადგილობრივი მასალების მოპირკეთება გაცილებით ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს. აი ზოგიერთი მონაცემები ამის შესახებ:

| მოპირკეთების ტიპები | სასილოსე ტრანშეების მშენებლობის ღირებულება (ერთ ტონა სილოსზე, მანეთობით) |
|---|---|
| რკინაბეტონის ფილები | 87 |
| გრანულირებული წიდის უცემენტო ფილები | 59 |
| წიდაბეტონი | 42 |
| წითელი აგური | 39 |
| სილიკატური აგური | 31 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ტრანშეების კაპიტალური მოპირკეთებისათვის ყველაზე იაფია ადგილობრივი მასალები — წიდაბეტონი და აგური. გრანულირებული წიდის უცემენტო ფილები ხარკოვის ოლქის პირობებში შედარებით ძვირი აღმოჩნდა. ხოლო იმ ოლქებსა და რაიონებში, სადაც მეტალურგიული მრეწველობის საწარმოებია და, მაშასადამე, უხვად არის წიდა, რომელიც შორეულ მანძილზე გადაზიდვას არ საჭიროებს, წიდის უცემენტო ფილები გაცილებით უფრო იაფი დაჯდება.

გარდა ტრანშეებისა, ხარკოვის ოლქში გამოყენებულია სასილოსე ნაგებობათა კიდევ ერთი სახე. ეს არის ბეტონის რგოლების ქილები სიმინდის ტაროს დასაკონსერვებლად. მათი მშენებლობის გამოცდილება ჩვენ გადმოვიღეთ მოსკოვის ოლქის დმიტროვის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის გზისაგან".

თითოეული ასეთი ქილის მონტაჟი მიწაში ხდება ბეტონის ოთხი რგოლისაგან. თითო რგოლს სამი მეტრი დიამეტრი და ერთი მეტრი სიმაღლე აქვს. ქილის ტევადობაა 27-29 ტონა სასილოსე მასა.

დღემდე ოლქის სამშენებლო ორგანიზაციებმა უკვე დაამზადეს კოლმეურნეობათა ცემენტით 3.700 ბეტონის რგოლი. მათგან აშენდა 25 ათასი ტონა სიმინდის ტაროს სილოსის ტევადობის ქილები.

ამრიგად, ოლქის პარტიულმა ორგანიზაციამ მოკლე ხანში გადაწყვიტა რთული ამოცანა. რა დაგვეხმარა ამის გაკეთებაში? დაგვეხმარა ბოლშევიკური სიმტკიცე მიზნის მიღწევაში, ფართო მასების ინიციატივა. რაკი გადაწყვეტილება მიიღეს, პარტიის საოლქო კომიტეტმა, რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა მოაწყეს მისი შესრულება, იჩენდნენ მაღალ პრინციპულობას და მომთხოვნელობას თითოეული მუშაკისადმი. ნაგებობათა მშენებლობისადმი ასეთი ყოველდღიური ყურადღება დაგვეხმარა ჩაგვება ამ საქმეში მშრომელთა ფართო მასები. ხოლო ის საქმე, რომელსაც მშრომელები შეგნებულად ასრულებენ და რომელსაც თავიანთ ძალღონესა და ნიჭს ახმარენ, ყოველთვის შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს.

წინ დიდი სამუშაო გვაქვს. უნდა დავამთავროთ ტრანშეების მოპირკეთება, გულდასმით მოვუაროთ ნათესებს, კარგად მოვემზადოთ მოსავლის აღებისათვის, კერძოდ სიმინდის მოსავლის აღებისათვის. მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხარკოვის ოლქის კომუნისტები შეძლებენ დარაზმონ სოფლის მეურნეობის მშრომელთა მასები ყველა ამ სამუშაოს წარმატებით შესრულებისათვის და ღირსეულად გაართმევენ თავს იმ ამოცანებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დაგვისახა.

(„პრავდა", 18 ივნისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საპატიო და სახელოვანი შრომა წარმოებაში!

## საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი სამუშაოდ მიდიან ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში

★ ★

### გულის კარნახით

ადამიანის ცხოვრებაში არის ისეთი დღეები, რომელთა დავიწყება არასოდეს არ შეიძლება. ჩემთვის ეს დღეებია საშუალო სკოლაში სწავლის უკანასკნელი დღეები, როცა სიხარულით ველოდები სიმწიფის ატესტატის მიღებას. ამ ატესტატით გავალ ცხოვრების დიდ გზაზე, რომ მეც ვიყო კომუნიზმის მშენებლობის აქტიური მონაწილე.

ვემშვიდობებით ჩვენს საყვარელ სკოლას, მასწავლებლებს. ვემშვიდობებით, მაგრამ არასოდეს არ დავივიწყებთ მათ. სწორედ მათ ჩაგვინერგეს შრომისადმი სიყვარული, გვასწავლეს ვიყოთ იქ, სადაც უფრო მეტი სიძნელეებია, გვასწავლეს ამ სიძნელეთა გადალახვა და დაძლევა.

ბევრჯერ დავფიქრებულვარ: სად უფრო დიდ სარგებლობას მოვუტან სამშობლოს, ხალხს. და მაშინვე გამიცია პასუხი: იქ, სადაც ჩვენი ძალები, ჩვენი ცოდნა ყველაზე უფრო სჭირდება ჩვენს ქვეყანას...

ამჟამად საბჭოთა ადამიანები არაფერს არ იშურებენ იმისათვის, რომ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მძიმე მრეწველობის განვითარებას. მე კარგად მესმის, რომ მძიმე მრეწველობა ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საფუძველია. ამიტომაც გადავწყვიტე სიმწიფის ატესტატის მიღების შემდეგ სამშობლოს მოწოდებით, გულის კარნახით სამუშაოდ წავიდე ერთ-ერთ ქარხანაში.

კარგად ვიცი, რომ პირველ ხანებში მომიხდება სიძნელეების დაძლევა, სანამ რომელიმე პროფესიას სრულყოფილად დავეუფლები. მაგრამ სიძნელეები და დაბრკოლებები არასოდეს არ აშინებდნენ საბჭოთა ადამიანს!

მოვუწოდებ ჩემს თანატოლებს, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს, სიმწიფის ატესტატით წავიდნენ წარმოებაში, თავდადებით იშრომონ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**ნოდარ კახაძე,**
თბილისის მე-3 საშუალო სკოლის კურსდამთავრებული.

### სადაც სამშობლო გვეძახის

#### წერილი თანატოლს

ჩემო ახალგაზრდა მეგობარო! მალე დავტოვებთ ჩვენი მშობლიური სკოლის კედლებს. ჩვენს თვალწინ შესანიშნავი და მიმზიდველი გზებია. მე არ ვიცი, რომელ გზას აირჩევ ცხოვრებაში. მაგრამ ერთი კი მტკიცედ მწამს: შენ არ დაუწყებ ძებნას იოლ გზას, შენ წახვალ იქ, სადაც სამშობლო გეძახის და მოგიწოდებს. აი ამიტომ მინდა გელაპარაკო დღეს.

ახლა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ამაღელვებელი დღეებია.

გადავწყვიტე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ წავიდე იქ, სადაც მიხმობენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, მძიმე მრეწველობის აღმავლობისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე. მსურს ვიმუშაო ქარხანაში, რომლისადმი სიყვარული ჩამინერგეს სკოლამ, მასწავლებლებმა, ჩემმა მშობლებმა.

ძვირფასო ამხანაგო, არ არსებობს ახლა იმაზე საპატიო მოვალეობა, ვიდრე ის, რომ თავდადებული შრომით საკუთარი წვლილი შეიტანო საყვარელი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საქმეში!

**რეგანა ხაჩატუროვა,**
თბილისის 96-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული.



სურათზე: საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც გადაწყვიტეს იმუშაონ წარმოებაში: თამაზ ზარიძე, ირინე მატინოვა, რეგანა ხაჩატუროვა, ეთერ კუპატაძე და უშანგი როსტიაშვილი.
ფოტო შ. გოქაძისა.

★

### ჩემი დიდი ხნის ოცნება

თვითეულ საბჭოთა ადამიანს გახსნილი აქვს ფართო გზა თავდადებული შრომისათვის, შემოქმედებისათვის. სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ჩვენ, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს, განკუთვნილი გვაქვს ჩვენი ადგილი ცხოვრებაში.

ჩვენი მიზანია გამოვადგეთ საყვარელ სამშობლოს იქ, სადაც მისთვის საჭიროა. ამჟამად დიადი კომუნისტური პარტია საბჭოთა ადამიანებს მთავარ ამოცანად გვისახავს ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი მძიმე ინდუსტრიის უპირატეს განვითარებას, რადგან იგი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობის საფუძველია.

პატარაობიდანვე მიყვარდა და მიზიდავდა მანქანათმშენებლობა. საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში გატაცებული ვიყავი თვითნაკეთი ხელსაწყოების, მოდელების მომზადებით.

ჩემი დიდი ხნის ოცნებაა ქარხანაში მუშაობა. ამიტომ ახლა, როცა სიმწიფის ატესტატს ვიღებ, მტკიცედ გადავწყვიტე ამ ატესტატით ხელში წავიდე თბილისის ერთ-ერთ მანქანათმშენებელ ქარხანაში და ვიმუშაო ამწყობად. მე კარგად მესმის, რომ ჩვენს მრეწველობას ამჟამად სჭირდება მაღალი ცოდნით აღჭურვილი ადამიანები.

საბჭოთა ადამიანებისათვის არავითარი სიძნელე არ არსებობს. წარმოებაში მუშაობა დიდად დამეხმარება იმაში, რომ დაუსწრებლად ვისწავლო საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ გავხდე ინჟინერი.

**უშანგი როსტიაშვილი,**
თბილისის 77-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული.

### შრომა ბედნიერებაა

თბილისის კიროვის რაიონის ფაბრიკა-ქარხნებში შეხვდებით ბევრ ახალგაზრდას, რომლებმაც საშუალო განათლება მიიღეს და ახლა წარმატებით არიან დაუფლებულნი ხარატის, მქსოვლის, გამომჭრელის, დამხვევის და სხვა პროფესიებს. საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდა მუშები — ვაჭარაძე, ფოცხვერაშვილი, ხახვიაშვილი, შესტიორკინა, სკირდა და სხვები ყოველდღიურ ნორმას 150-200 პროცენტით ასრულებენ.

ბევრი ახალგაზრდა წარმატებით ათავსებს ერთმანეთთან სწავლასა და შრომას. შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ათობით ახალგაზრდა, რომლებიც ყოველდღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ და საღამოს სკოლებში, დაუსწრებელ ინსტიტუტებსა და ტექნიკუმებში წარმატებით ეუფლებიან ცოდნას. ახალგაზრდა მუშები — ტკაჩოვა, გახუტაშვილი, იალიშევა, ანტონოვა და სხვები სხვადასხვა ინსტიტუტსა და ტექნიკუმში სწავლობენ დაუსწრებლად და ამასთან შრომის ფრონტზე მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ.

კომკავშირელებმა — აბნერაშვილმა, ვანიევმა, პატარკაციშვილმა, ზუბლიშვილმა, რომლებიც წელს მეთერთმეტე კლასს ამთავრებენ, სურვილი გამოთქვეს მუშაობა დაიწყონ ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში. მათი გადაწყვეტილება საბჭოთა პატრიოტიზმის მკაფიო გამოვლინებაა.

ჩვენს ქვეყანაში შრომა ბედნიერებაა. ყველა პროფესია დასაფასებელია, საპატიოა, თუ კი მას ისე მოიხმარ, რომ მთელი ძალით, ნიჭით, უნარით ემსახურო დედა-სამშობლოს.

**ლ. ჩიქვანაია,**
საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანი.

### კოლმეურნეობაში სამუშაოდ

დადგა სკოლასთან გამოთხოვების მღელვარე დრო. სულ მალე ჩავიბარებთ სიმწიფის ატესტატს, რომელიც ჩვენ, საბჭოთა სკოლის აღზრდილებს, ზრდისა და წინსვლის ფართო პერსპექტივებს გვისახავს.

ათასობით ჩემი თანატოლი, საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, ახლა იმაზე ფიქრობს, თუ რა პროფესია აირჩიოს. პროფესიის არჩევაზე მეც ბევრს ვფიქრობდი.

ბავშვობიდანვე მიტაცებდა და მიყვარდა სოფელი, განსაკუთრებით კახეთის ბარაქიანი ველ-მინდვრები. ბავშვობა სოფელში გავატარე. საკუთარი თვალით ვხედავდი, რა დაუღალავად შრომობდნენ კოლმეურნეები სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის, საკოლმეურნეო დოვლათის შექმნისათვის.

შემთხვევითი არ იყო, რომ წერითს გამოცდაში ქართულ ენასა და ლიტერატურაში თემად ავირჩიე — „სოციალისტური სოფელი ქართულ საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში". სოციალისტური სოფლის სიყვარული, მისი ადამიანების სასახელო საქმეთა კარგად ცოდნა დამეხმარა იმაში, რომ კარგად გამეშუქებინა ეს თემა.

და ახლა, როცა მეთერთმეტე კლასს ვამთავრებ, მტკიცედ გადავწყვიტე სამუშაოდ წავიდე კასპის რაიონის სოფელ მახარაძის კოლმეურნეობაში, ვიმუშაო მემინდვრეობის ბრიგადაში. ამასთან გადაწყვეტილი მაქვს დაუსწრებლად ვისწავლო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

**ირინე მატინოვა,**
თბილისის 88-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული.

★ ★

### თქვენ გელოდებით!

კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის სახნავ-სათესი მიწები, ვენახისა და ხეხილის პლანტაციები, რომლებიც თელავიდან იწყება და მდინარე ალაზნამდე გრძელდება, ყოველწლიურად მეტსა და მეტ დოვლათს იძლევა.

რქაწითელის, საფერავის, მწვანისა და კაბერნეს პლანტაციები 180 ჰექტარს აღემატება. სამი-ოთხი წლის წინათ თვითეული ჰექტარი 30-40 ცენტნერ ყურძენს იძლეოდა. ეს მაშინ საუკეთესო მოსავლად მიგვაჩნდა. ახლა კი 60-70 ცენტნერს საკმაოდ არა ვთვლით. შარშან თვითეულ ჰექტარზე 95,5 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ, გეგმით კი 52 ცენტნერი იყო გათვალისწინებული.

კოლმეურნეთა ბეჯითმა შრომამ პურისა და სიმინდის მოსავლიანობა ერთიორად გაადიდა. დანარჩენი კულტურების მოსავლიანობაც ამაღლდა. კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა სამ მილიონს გადაამეტა.

საკოლმეურნეო წარმოების განვითარებამ გაადიდა კოლმეურნეთა შრომადღის ხვედრი. შარშან გამომუშავებულ შრომადღეებზე ზაქარია კევლიშვილის ოჯახმა მიიღო 3.472 კილოგრამი მარცვლეული, 1.860 ლიტრი ღვინო, 4.960 მანეთი ფული, ხორცი, არაყი, ხახვი, ზეთი და სხვ. ასეთი ოჯახები კურდღელაურში ერთეულები როდია.

მუშაობაში ბევრნი არიან წარჩინებულნი, მაგრამ მინდა აღვნიშნო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა საქმიანობა. ზაქარია დათიშვილი, რომელიც ჩვენთან სიმწიფის ატესტატით მოვიდა, მემინდვრეობის ბრიგადას ხელმძღვანელობს. შარშან მას თვითეულ ჰექტარზე 14 ცენტნერი ხორბალი უნდა მოეყვანა, ფაქტიურად 15 ცენტნერი მოიყვანა. გეგმის გადამეტებით საშუალოდ ჰექტარზე 6 ცენტნერი სიმინდი მიიღო. საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ნ. მახნიაშვილი მევენახეობის ბრიგადას ხელმძღვანელობს, გ. ბერიძე მეცხოველეობის ფერმას უნარიანად უძღვება, ა. დათიშვილი ვენახის კარგი მომვლელია.

წელს ოცზე მეტ ახალგაზრდას მოველით საშუალო სკოლებიდან. ზოგიერთმა მათგანმა უკვე გვთხოვა გავგზავნოთ იქ, სადაც უფრო ესაჭიროება კოლმეურნეობას. ისინი სიტყვას გვაძლევენ, რომ შრომაში მოწინავენი იქნებიან.

სიმწიფის ატესტატით მოსულნი საკოლმეურნეო შრომის დოვლათს უფრო გაამრავლებენ. თქვენ გელოდებით, ახალგაზრდა მეგობრებო!

**ი. მახნიაშვილი,**
თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის ფ. ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

### პატრიოტული გადაწყვეტილება

ქუთაისი. (საქ. კორ.). ქალაქის საშუალო სკოლებში 900-მდე ახალგაზრდა აბარებს გამოცდებს სიმწიფის ატესტატზე. მეთერთმეტეკლასელთა საკმაო ნაწილში მკვეთრად იგრძნობა მისწრაფება — წავიდნენ საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, ჩაებან შრომით საქმიანობაში.

პირველი საშუალო სკოლის 17 ახალგაზრდამ გადაწყვიტა სიმწიფის ატესტატის მიღების შემდეგ სამუშაოდ წავიდეს კოლმეურნეობებსა და საწარმოებში. მეთერთმეტეკლასელებმა ლიპარიტ, ბიჭიკო, გურამ ჩოგოვაძეებმა და ვაჟა ბალანჩივაძემ სურვილი გამოთქვეს იმუშაონ მშობლიურ სოფელ გუმბრაში (წყალტუბოს რაიონი). ქალაქის საწარმოებში მიდიან ჯემალ გვენცაძე, შოთა თუთბერიძე, გაბრიელ ფიჩხაძე, ნუგზარ გალუშკინი და სხვ.

მე-8 საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელები გურამ დარსაძე და ჯემალ ჯინჭარაძე ატესტატის მიღების შემდეგ მიემგზავრებიან ყაზახეთში ყამირ მიწებზე სამუშაოდ.

## ერთმანეთს შევხვდებით ოცი წლის შემდეგ

საშუალო სკოლის უკანასკნელი კლასის მოსწავლეები დიდ მღელვარებას განიცდიან. მალე ისინი ცხოვრების საგზურს — სიმწიფის ატესტატს მიიღებენ და ჩაებმებიან კომუნიზმის მშენებლობის ფერხულში. მრავალი მათგანი სწავლას გააგრძელებს უმაღლეს სასწავლებელში, ბევრიც სამუშაოდ წავა ფაბრიკაში, ქარხანაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურში. უშუალოდ წარმოებაში შრომით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი მიიღებენ მეორე ატესტატს — ცხოვრების გამოცდილებას და სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ დაეუფლებიან მეცნიერებათა მწვერვალებს.

გამომშვიდობება უკანასკნელკლასელებთან თუმცა ზეიმის ხასიათს ატარებს, მაგრამ მას ცრემლიც ახლავს. ეს ცრემლით მწუხარება როდი გამოიხატება. ბევრჯერ ცრემლი სიხარულის თანამგზავრია. იგი გამოხატავს ღელვას დიადი ცხოვრების ფართო კარის გაღების წინ...

ტრადიციულად ბევრ სკოლაში ეწყობა შეხვედრები გამოსაშვები კლასების მოსწავლეებთან. შეხვედრებზე გამოდიან მასწავლებლებიც, ყოფილი მოსწავლეებიც, რომლებიც ჩაბმული არიან წარმოებაში, ან უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ. გამოდიან პირველკლასელებიც, რომლებიც ეს-ეს არის დაეწაფნენ ცოდნის წყაროს. ერთ-ერთ სკოლაში პირველკლასელმა გოგონამ ცოცხალი ყვავილების თაიგული მიუძღვნა მეთერთმეტეკლასელებს და უთხრა მათ:

— აი თქვენ, მეთერთმეტეკლასელებო, მალე წახვალთ ჩვენი სკოლიდან. მე კი მინდა მუდამ აქ იყოთ...

პირველკლასელის ეს გულუბრყვილო სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით რომ გავიგოთ, მეთერთმეტეკლასელები ყოველ წელს უნდა დარჩნენ ერთსა და იმავე კლასში... მაგრამ ეს სიტყვები სულ სხვას გულისხმობს, იგი ნაკარნახევია უფრო გულით, ვიდრე გონებით, გამოხატავს ძლიერ სიყვარულს უფროსი კლასების მოსწავლეებისადმი.

მარად დაუვიწყარი იყო ერთი ასეთი შეხვედრა, რომელიც გაიმართა ოცი წლის წინათ, 1935 წელს. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის მე-3 საცდელ-საჩვენებელი სკოლის, ამჟამად 23-ე სკოლის კურსდამთავრებულებს აცილებდნენ, გზას ულოცავდნენ მშობლები, მასწავლებლები, უმცროსი კლასების მოსწავლეები. ეს იყო გაცილება სკოლიდან ცხოვრების ფართო და ნათელ გზაზე.

— ერთმანეთს შევხვდებით ზუსტად ოცი წლის შემდეგ, 1955 წელს, — ასე გადაწყვიტეს მაშინ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა.

ოცი წელი... ცოტა დრო არ არის იგი ადამიანის ცხოვრებაში. და მერე რამდენი რამ მოხდა ამ წლების მანძილზე ადამიანთა ბიოგრაფიაში! ეს იყო ისტორიული მოვლენებით აღსავსე წლები, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის ახალ-ახალ გამარჯვებათა წლები. ამ გამარჯვებათა სათავესთან იდგა და დგას ლენინ — სტალინის სახელოვანი პარტია.

საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ილვწოდნენ თბილისის 23-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი. მათ შორის არიან ინჟინრები და ექიმები, საბჭოთა არმიის ოფიცრები, განათლების დარგის მუშაკები, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწენი. ბევრმა მათგანმა სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა, ბევრმა ისე გაითქვა სახელი შრომისა და ბრძოლის ფრონტებზე, რომ საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაიმშვენა მკერდი.

ცნობილი მეცნიერი-ფიზიკოსის სახელი დაიმკვიდრა ამ სკოლის ყოფილმა მოსწავლემ ირაკლი გვერდწითელმა, ფიზიკის დარგში ძვირფასი მეცნიერული შრომების ავტორმა.

ამ ოცი წლის მანძილზე ვინ იცის რამდენჯერ ჩაიხედა დედამიწის გულში, როგორც მისმა მესაიდუმლემ, გეოლოგმა მედეა კიკილაშვილმა, ხოლო ადამიანის გულის სიმები რამდენჯერ შეარხია ნორა ექსანიშვილმა — თბილისის კონსერვატორიის დოცენტმა!

სამედიცინო ინსტიტუტის კარი მოწინავე შეაღო კურსდამთავრებულმა ანდრია ღონღაძემ. იქიდან იგი გაბედული ქირურგი გამოვიდა, უშიშრად იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტების სხვადასხვა უბანზე. მადლიანი დოსტაქრის მარჯვენამ მრავალ მებრძოლს შეუნარჩუნა სიცოცხლე, დაუბრუნა იგი მწყობრს, ჩვენს სამშობლოს.

და კიდევ საშუალო სკოლის რამდენ კურსდამთავრებულს შეხვდებოდით სამამულო ომის უძნელეს გზებზე!

თამარ შათირიშვილი, რომელიც აგრონომი გახდა, წლების მანძილზე სათუთად უვლიდა მცენარეებს. ასევე ეფერებოდნენ, მზრუნველობით ზრდიდნენ მას პედაგოგები 23-ე სკოლის კედლებში...

საყვარელი, მარადჟამს დაუვიწყარი მასწავლებლები! სადაც უნდა ყოფილიყვნენ — ფიზიკის აუდიტორიაში, ბრიანსკის ტყეში, ყირიმის სანგრებში, თუ შორეულ გეოლოგიურ ექსპედიციაში, ყოფილი მოსწავლეები მაინც არ ივიწყებდნენ თავიანთ მასწავლებლებს: ნინო ძიძიგურს, დოროთე ფირცხალავას, ნიკო ჯაფარიძეს, ეკატერინე ბერიძეს, დავით დონდუას, მარო ბალანჩივაძეს, სერგო ახვლედიანს, ვერა ავალიშვილს...

არასოდეს არ დაავიწყდებათ ამ მასწავლებელთა სიყვარულით აღსავსე სახეები შახტის უფროსს ამბროსი ჭიჭინაძეს, დოცენტ ელენე იმერლიშვილს, ექიმ მ. გაგუას, ინჟინერ შალვა კლდიაშვილს, მხატვარ შოთა ტატიშვილს და მრავალ სხვას.

...როცა სკოლის ზარმა დაიწკრიალა, საკლასო ოთახისაკენ ბავშვური სიხარულით გაემართნენ საკმაოდ მოზრდილი ადამიანები. ერთი შეხედვით, მნახველი იფიქრებდა, რომ ისინი მასწავლებლები არიან. მაგრამ ამდენი მასწავლებელი ერთ კლასს ხომ არ სჭირდება? ისინი „მოსწავლეები" არიან, თავიანთ მერხებთან სხდებიან და მასწავლებლის მოლოდინში ღელავენ. ზოგიერთ „მოსწავლეს" თმაში აქა-იქ ჭაღარა შეჰპარვია, ზოგი ალბათ ხუთი შვილის მამაც იქნება...

კლასის „მამასახლისმა" სიძველისაგან გაყვითლებული საკლასო ჟურნალი ამოიღო და სია ამოიკითხა. მოსწავლის ასაკისათვის შეუფერებელი ადამიანები რიგრიგობით დგებიან ფეხზე და იძახიან:

— აქ ვარ!

ეს უცნაური მოსწავლეები, რომელთა შორის სამხედრო პირებსაც შეამჩნევთ, საკმაოდ წყნარად არიან. მასწავლებელს არც კი სჭირდება დისციპლინისაკენ მოუწოდოს მათ. „მოსწავლეთა" შორის არავინ ცელქობს, რადგან მათ ამის უფლებას არ აძლევს არც ასაკი, არც მოზრდილი ადამიანის ბუნება.

იწყება უკანასკნელი გაკვეთილი... მაგრამ ეს გაკვეთილი ხომ დიდი ხანია დამთავრდა! ახლა მხოლოდ გამეორებაა იმ ოცი წლის წინანდელი ზაფხულისა, როცა ისინი ატესტატით ხელში გამოვიდნენ მშობლიური სკოლიდან. მას შემდეგ მათ ცხოვრების დიდი გაკვეთილი მიიღეს, დავაჟკაცდნენ და გამოიწრთნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ერთგულ ადამიანებად!

ქიმიის მასწავლებელი ნიკო ჯაფარიძე თავის აღზრდილებს ასე მიმართავს:

— ძვირფასო მოსწავლეებო! მართალია, ახლა ჩემთან ქიმიის გაკვეთილზე არ იმყოფებით, მაგრამ დღევანდელი „გაკვეთილი" მაინც ყველაზე დაუვიწყარი, ყველაზე ძვირფასია. რა სჯობს იმას, რომ საკუთარი თვალით იხილო შენი შემოქმედების ნაყოფი. ეს ნაყოფია თქვენი დაუღალავი შრომა საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ტაშმა დაფარა ჭაღარა მასწავლებლის უკანასკნელი სიტყვები. „დაფასთან" გამოდის „მოსწავლე" ქეთევან ყავრიშვილი:

— მადლობა, ჩვენო მასწავლებლებო, დიდი მადლობა! სკოლის წლები ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისათვის მარადჟამს დაუვიწყარია. მე გეოგრაფი ვარ და ხშირად ვუცქერი ჩვენი სამშობლოს რუკას. დიდ კმაყოფილებას განვიცდი, როცა ვგრძნობ: თვითეულ ქალაქში, თვითეულ სოფელში შრომობენ საბჭოთა სკოლის აღზრდილები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომლებიც კომუნიზმის დიად შენობას აგებენ. მათ შორის არიან ჩვენი სკოლის აღზრდილებიც. ძვირფასო მასწავლებლებო, თქვენ დიდ საქმეს აკეთებთ: შრომისადმი სიყვარულს უნერგავთ ახალ თაობას. მწამს, თქვენი მოსწავლეები სიმწიფის ატესტატით ხელში საწარმოებისაკენ, კოლმეურნეობებისაკენ გაემართებიან, იქ შეიძენენ ცხოვრების ცოდნას და გამოცდილებას. მხოლოდ შრომითა და სწავლით შეიძლება გახდე კარგი ინჟინერი, აგრონომი, ექიმი, მასწავლებელი...

თითქოს ქეთევან ყავრიშვილის აზრს გამოეხმაურა, ისე გაისმა მეცხრეკლასელ ქეთევან საავაშვილის სიტყვები:

— შრომა ჩვენს ქვეყანაში მამაცობისა და ღირსების საქმეა. ჩვენ გვიყვარს შრომა. როცა საშუალო სასწავლებელს დავამთავრებთ, წარმოებაში ვიმუშავებთ, რომ ვიგრძნოთ, რა არის შრომის სიხარული.

* * *

სკოლებში მღელვარე დღეები დასასრულს უახლოვდება. აი უკვე მთავრდება სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები. მეთერთმეტეკლასელთა დიდ უმრავლესობას ამოძრავებს პატრიოტული სურვილი — სამუშაოდ წავიდეს ქარხანაში, კოლმეურნეობაში, ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მძლავრ აღმავლობას, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიიღოს უმაღლესი განათლება.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ბევრ ახალგაზრდას შეხვდებით თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში. ისინი სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლები არიან, თავიანთი სკოლის სახელსა და ღირსებას იცავენ, ეუფლებიან წამყვან პროფესიებს, იძენენ პრაქტიკულ გამოცდილებას, ემზადებიან მეცნიერების მწვერვალების დასაპყრობად.

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში ამ დღეებში გავიცანით ერთ-ერთი მათგანი — სულიკო ჯეირანაშვილი. იგი მექანიკური საამქროს ხარატად მუშაობს და თან ემზადება საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე შესასვლელად. მას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლით შეუძლია გახდეს სრულფასოვანი ინჟინერი. სწავლა და შრომა! — აი მისი დიდი მიზანი. მასთან ერთად საშუალო სკოლის კიდევ რამდენი კურსდამთავრებული მუშაობს და იბრძვის მანქანათმშენებლობის — მძიმე ინდუსტრიის გულის — განვითარებისა და წინსვლისათვის! მათ რიგებში არიან ოსტატი შალვა კობახიძე, მღარავი ნოდარ ბერიძე, ხარატი კობა ვაჩეიშვილი...

სიმწიფის ატესტატით წარმოებაში! ასე ფიქრობს 23-ე საშუალო სკოლის მრავალი მოსწავლეც. მათი ფიქრი სამშობლოსათვის თავდადებული სამსახურის შესანიშნავი გამოხატულებაა.

...და ისევ დავუბრუნდეთ იმ გულთბილ შეხვედრას, რომელიც მოხდა 23-ე საშუალო სკოლაში. სკოლებმა არ უნდა დაივიწყონ თავიანთი აღზრდილები. არც აღზრდილებმა უნდა დაივიწყონ თავიანთი სკოლა. ასეთი შეხვედრები ხელს უწყობს სკოლის, მასწავლებლების ავტორიტეტის ზრდას.

მოდით გავიხსენოთ მშობლიური სკოლა ხუთი, ათი, ოცი წლის შემდეგ! რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, მუდამ გვახსოვდეს სკოლის ჩაუქრობელი ნათელი...

**ს. არღუნელი.**

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესია სან-ფრანცისკოში

სან-ფრანცისკო, 20 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს სან-ფრანცისკოში 15 საათზე ადგილობრივი დროით, 21 ივნისს (01,00 მოსკოვის დროით) იხსნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესია, მიძღვნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ხელმოწერის ათი წლისთავისადმი.

საიუბილეო სესიაში მონაწილეობის მისაღებად სან-ფრანცისკოს ჩამოვიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნის დელეგაციები. ბევრ დელეგაციას მეთაურობენ საგარეო საქმეთა მინისტრები.

საბჭოთა კავშირის დელეგაციას სესიაზე მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას მეთაურობს სახელმწიფო მდივანი ჯ. ფ. დალესი, ინგლისის დელეგაციას — საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. მაკმილანი, საფრანგეთის დელეგაციას — საგარეო საქმეთა მინისტრი ა. პინე.

საიუბილეო სესიის გახსნაზე სიტყვას წარმოთქვამს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი, რომელიც სან-ფრანცისკოში ჩამოვიდა.

საიუბილეო სესიაზე მოეწყობა მხოლოდ პლენარული სხდომები, რომლებზეც დეკლარაციებით გამოვლენ დელეგაციების მეთაურები. სესია 26 ივნისამდე გასტანს.

სან-ფრანცისკო, 20 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს სან-ფრანცისკოში მუშაობას იწყებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესია, რომელიც მიძღვნილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ხელისმოწერის მე-10 წლისთავისადმი.

სან-ფრანცისკო სადღესასწაულოდ არის მორთული. ქალაქის ვიწრო ბორცვებიან ქუჩებში, სასტუმროების, მაღაზიების, კინოების, რესტორანების შესასვლელებთან გამოკიდებულია ცისფერი ტილოები წარწერით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დელეგატებო!“. ბევრი მაღაზიის ვიტრინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენად გადაუქცევიათ.

სან-ფრანცისკოს ვაგზალში და აეროდრომზე ჩამოსულ დელეგატებს ეგებებიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. სპეციალურ მიმართვაში მოსახლეობისადმი სან-ფრანცისკოს მერმა რობინსონმა გამოაცხადა ქალაქში „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვირეული“ და მოუწოდა მცხოვრებთ ხელი შეუწყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დელეგატებს.

ქალაქის პროგრესული ორგანიზაციების ინიციატივით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიის გახსნის დღისათვის სან-ფრანცისკოში შეგროვდა 25 ათასამდე ხელმოწერა პეტიციაზე, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოუწოდებს განახორციელოს ღონისძიებანი ატომური იარაღის ასაკრძალავად.

გუშინ სან-ფრანცისკოში „ავტომობილების ქარავნით“ ჩამოვიდნენ ლოს-ანჯელოსის მცხოვრებნი, რომელნიც მოუწოდებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აკრძალოს ომი.

საიუბილეო სესია მსოფლიო პრესის დიდ ყურადღებას იპყრობს. სესიის მიმდინარეობის გასაშუქებლად სან-ფრანცისკოში უკვე ჩამოვიდნენ დეპეშათა სააგენტოების, გაზეთებისა და რადიოს კორესპონდენტები — სულ 400-ზე მეტი კაცი.

დღეს საიუბილეო სესიის საზეიმო გახსნაზე მოკლე შესავალ სიტყვას წარმოთქვამს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის თავმჯდომარე ვან კლეფენსი, ხოლო მის შემდეგ მისასალმებელ სიტყვას წარმოთქვამს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი.

სან-ფრანცისკო, 20 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს სან-ფრანცისკოში ზეიმით გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესია, მიძღვნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ხელმოწერის მე-10 წლისთავისადმი.

სესიის სხდომებისათვის დათმობილი სადღესასწაულოდ მორთული ოპერის თეატრის შენობის წინ სესიის გახსნამდე დიდი ხნით ადრე შეიკრიბნენ სან-ფრანცისკოს მცხოვრებნი. ისინი გულთბილად მიესალმნენ სხდომაზე მოსულ დელეგატებს. თეატრის სცენა, სადაც მოწყობილია პრეზიდიუმის ადგილები, მორთულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ემბლემით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 60 სახელმწიფოს სახელმწიფო ალმებით. დელეგატებით, სტუმრებითა და კორესპონდენტებით გაჭედილი სხდომის დარბაზი ვერ იტევს ყველა მსურველს. იმათთვის, ვინც ადგილი ვერ იპოვა სხდომის დარბაზში, გამოყოფილია დამატებითი შენობები. სხდომის მიმდინარეობას რადიოთი და ტელევიზიით გადასცემენ ამ შენობებში.

დამსწრენი ტაშით ხვდებიან საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს, რომელიც პრეზიდიუმში შემოდის. სხდომის პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ: ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ვ. კისელიოვი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში გ. ნ. ზარუბინი, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ა. სობოლევი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი, ინგლისის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დიქსონი, კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი პირსონი და სხვები.

დღის 3 საათზე ადგილობრივი დროით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიის თავმჯდომარე ვან კლეფენსი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის IX სესიის თავმჯდომარე იყო, სესიის საზეიმო სხდომას გახსნილად აცხადებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან ჰამარშელდთან ერთად იგი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ეიზენჰაუერს იწვევს სხდომის დარბაზში. შემდეგ ვან კლეფენსი სიტყვას აძლევს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.

თავის მისასალმებელ სიტყვაში პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა საიუბილეო სესიის მონაწილეებს გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სპეციალური მისასალმებელი წერილი.

ქალაქ სან-ფრანცისკოს სახელით დელეგატებს მიესალმა ქალაქის მერი რობინსონი, კალიფორნიის შტატის სახელით — შტატის გუბერნატორი ნაიტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი მოკლე სიტყვაში ლაპარაკობს დიდ პასუხისმგებლობაზე, რაც მსოფლიოს ხალხებმა დააკისრეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. იგი დამსწრეთ მოაგონებს ამასწინანდელ საერთაშორისო ამბებს, რომლებსაც მოჰყვა საერთაშორისო დაძაბულობის რამდენადმე შენელება, — აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციას, ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადებას, ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა თათბირისათვის მზადებას. ჰამარშელდი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა ეს მოვლენა მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების შემდგომი განმტკიცების „ახალ იმედს ქმნის“. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი შემდეგ გამოთქვამს რწმენას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გამრავლებს თავის ღონისძიებებს მშვიდობის განსამტკიცებლად და ხალხთა ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად.

შემდეგ გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიის თავმჯდომარე ვან კლეფენსი, რომელმაც დელეგატების ყურადღება მიაპყრო სესიის დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას. მან თქვა, რომ მსოფლიოს ხალხები სესიისგან მოელიან „დიდმნიშვნელოვან წვლილს საერთაშორისო ატმოსფეროს გაუმჯობესების საქმეში“.

ვან კლეფენსის გამოსვლით დამთავრდა სესიის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. 21 ივნისს სესია მუშაობას განაგრძობს.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა

სან-ფრანცისკო, 20 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე ჰოლანდიის, დანიის, იემენის, ლუქსემბურგის, საუდის არაბეთისა და შვეციის დელეგაციების პატივსაცემად.

საუზმეს დაესწრნენ დელეგაციების მეთაურები: ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ლუნსი, დანიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. ჰანსენი, პრინცი სეიფ-ულ-ისლამ ჰასანი (იემენი), ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ბეში, საუდის არაბეთის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ასად ალ-ფაკიხი, შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. უნდენი, აგრეთვე ამ ქვეყნების დელეგაციების წევრები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში გ. ნ. ზარუბინი, საბჭოთა კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ა. სობოლევი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ს. კ. ცარაპკინი.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მოიწონა ჩინეთის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის პროექტი

პეკინი, 20 ივნისი. (საქდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 18 ივნისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ თავის სხდომაზე მოიწონა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის პროექტი.

სხდომაზე ხუთწლიანი გეგმის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ლი ფუ-ჩუნმა.

სახელმწიფო საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მეორე სესიის განსახილველად წარადგინოს გეგმის პროექტი.

# საზეიმო ვითარებაში გაიხსნა „მშვიდობისა და მეგობრობის ბაღი“ ლიდიცეში

პრაღა, 19 ივნისი. (საქდესი). დღეს სოფელ ლიდიცეში, რომელიც ცამეტი წლის წინათ ჰიტლერელებმა აღგავეს პირისაგან მიწისა, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა „მშვიდობისა და მეგობრობის ბაღი“. ლიდიცეში ჩამოვიდა მრავალი ათასი მშრომელი ჩეხოსლოვაკიის ყველა კუთხიდან. აქ მოვიდნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია, ეროვნული კრების თავმჯდომარე ზდენეკ ფირლინგერი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის დელეგაცია სტალინგრადის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ე. ი. ობუხოვის მეთაურობით, დიდი ბრიტანეთის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს თავმჯდომარე ინგლისის კომიტეტისა „ლიდიცე იცოცხლებს“ ბარნეტ შტროსი, პოლონეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა დელეგაციები.

საზეიმო ცერემონიის დაწყების წინ ლიდიცეს გმირების ძმათა საფლავი რამდენიმე ათეული. გვირგვინით შეამკეს.

ლიდიცეში „მშვიდობისა და მეგობრობის ბაღის“ შექმნის ჩეხოსლოვაკიის კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა ი. გრომადკამ მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა „მშვიდობისა და მეგობრობის ბაღის“ გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია.

მშვიდობისათვის ბრძოლისა და ლიდიცეს მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა „მშვიდობისა და მეგობრობის ბაღის“ შექმნის ჩეხოსლოვაკიის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ე. ლეფლეროვამ, ლიდიცელმა ქალმა, გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილმა ტყვემ.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ბარნეტ შტროსმა (ინგლისი), ე. ი. ობუხოვმა (სსრ კავშირი), „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა პროფესორმა იკუო ოიამამ (იაპონია) და უცხოეთის დელეგაციების სხვა ხელმძღვანელებმა.

საზეიმო ცერემონიის მონაწილეებმა ფიცი დადეს, რომ ერთგული იქნებიან ლიდიცეს მსხვერპლთა ანდერძისა. ფიცი წაიკითხა ლიდიცეს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ რუჟენა კრასოვამ.

ერთგულების ფიცში, კერძოდ, ნათქვამია: ჩვენ ლიდიცეში ვაარსებთ „მშვიდობისა და მეგობრობის ბაღს“ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების ათი წლის შემდეგ, იმ დროს, როცა მსოფლიოს ემუქრება ახალი ომი, რომელიც, თუ იგი განხორციელდა, გაცილებით უფრო საშინელი და საზარელი იქნება, ვიდრე ყველა წინანდელი ომი. აგრესორები ატომური ომით ემუქრებიან ხალხებს და კვლავ აიარაღებენ იმათ, ვინც მოსპო ლიდიცე. პატივს ვცემთ რა ლიდიცეს მსხვერპლ მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს, ახალი სოფლის ლიდიცეს გულისათვის, რომელიც ცოცხლობს და კვლავაც იცოცხლებს, ჩვენ მოწოდებით მივმართავთ მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსან და მშვიდობისმოყვარე ადამიანს.

არ დაუშვათ, რომ დედებს კვლავ მოუხდეთ შვილების, ცოლებს ქმრებისა და შვილებს მამების, როგორც ახალი ომის მსხვერპლის, დატირება. გააერთიანეთ თქვენი ძალები ბრძოლაში განზრახული ატომური ომის და დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციის წინააღმდეგ, მტკიცედ იბრძოლეთ იმისათვის, რომ მსოფლიოს ხალხები არ ჩააბან ახალ ომში, რომლის დროსაც შეიძლება გამეორდეს ისეთი დანაშაულობანი, როგორიც მოხდა ლიდიცეში, ორადურში, ვარშავაში, ხიროსიმასა და სხვა ქალაქებში. იბრძოლეთ იმისათვის, რომ ატომის ენერგია ადამიანთა მოსპობის მიზნებს კი არ ემსახურებოდეს, არამედ, პირიქით, რომ კაცობრიობის ეს გენიალური აღმოჩენა ხელს უწყობდეს დედამიწაზე ცხოვრების შემდგომ აყვავებას.

დაე ეს „მშვიდობისა და მეგობრობის ბაღი“, სადაც აყვავდება ათობით ახლო და შორი ქვეყნის ვარდები, გახდეს ყველა პატიოსანი ადამიანისათვის ხალხთა იმ ურყევი მისწრაფების სიმბოლო, რომ იცხოვრონ მშვიდობიანად და მეგობრობით, გახდეს სიცოცხლისათვის ბრძოლის, სიკვდილის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლო!

ე. ლეფლეროვამ გადაჭრა მთავარ ხეივანზე გადაჭიმული ლენტი. „მშვიდობისა და მეგობრობის ბაღი“, რომლის შექმნაში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა 30 ქვეყანამ, გაიხსნა. იქ უკვე დარგულია 17 ათასი ძირი ვარდი, რომლებიც გამოგზავნილია საბჭოთა კავშირიდან, ინგლისიდან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან, საფრანგეთიდან, იაპონიიდან, იტალიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ლიდიცეს მშვიდობისა და მეგობრობის ბაღი იმის გამომხატველი იქნება, რომ კაცობრიობა კეთილშობილურად ისწრაფვის იბრძოლოს მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის.

## პოლონეთთან სილეზიის შეერთების ათი წლისთავი

### ალექსანდრე ზავადსკის გამოსვლა

ვარშავა, 20 ივნისი. (საქდესი). გუშინ პოლონელმა ხალხმა აღნიშნა პოლონეთთან სილეზიის მიწაწყლის შეერთების ათი წლისთავი. ოპოლიეს სავოევოდოში სავოევოდოს მთავარი ქალაქის ახლოს გაიმართა მშრომელთა მასობრივი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ოპოლიეს, სტალინოგრუდისა და პოლონეთის სხვა სავოევოდოების 250 ათასამდე მუშამ, გლეხმა, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის წარმომადგენელმა.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ზავადსკიმ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლონელი ხალხი სილეზიისა და პოლონეთის სხვა ძველისძველი მიწების შემოერთების ათი წლისთავს აღნიშნავს ისეთ ვითარებაში, როცა გაჩაღებულია ხალხების ბრძოლა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ.

ვარშავის ხელშეკრულებამ, თქვა ა. ზავადსკიმ, საბჭოთა კავშირის წინადადებებმა, რომელთა მიზანია მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა გამალებული შეიარაღების შეწყვეტის და ევროპაში კოლექტიური უშიშროების პრინციპის დამყარების გზით, კიდევ უფრო განამტკიცა პოლონელი ხალხის რწმენა თავისი გზის სისწორისა და თავისი მომავლისადმი, რომელიც შენდება მთელი გაერთიანებული ხალხის ღონისძიებებით.

მთელ მსოფლიოში მშვიდობის დიადი იდეები, ხალხთა თანასწორობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის იდეები, რომლებიც წამოაყენეს საბჭოთა კავშირმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და ჩვენი სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებმა, შეესაბამებიან მთელი კაცობრიობის ინტერესებს. ეს იდეები გამოიხატა აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციით.

მშვიდობისა და ევროპის უშიშროებისათვის, აღნიშნა ა. ზავადსკიმ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ წამოაყენა წინადადება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ. ამ წინადადებამ მხარდაჭერა და გაგება ჰპოვა სახალხო პოლონეთის მხრივ, რადგან სსრ კავშირისა და დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის ნორმალიზაციას მოჰყვება საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, დაეხმარება გერმანელ ხალხს განახორციელოს თავისი მშვიდობისმოყვარული მისწრაფება გაერთიანებისადმი, დაეხმარება მას თავიდან აიცილოს ახალი უბედურებანი.

## იუგოსლავიის ხელოვანთა კონცერტი თბილისში

21 [illegible] ხელოვნების ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მსახიობების ... ლიუბლიანის სახალხო ოპერის პრემიერის ... მა ბუკოვეცის (სოპრანო), ბელგრადის სახალხო თეატრის პრემიერის ალექსანდრე მარინკოვიჩის (ტენორი), მიროსლავ ჩანგალოვიჩის (ბანი) და ლიუბლიანის მუსიკალური აკადემიის პროფესორის პიანისტ მარიან ლიპოვშეკის კონცერტი.

კონცერტის დაწყების წინ საქართველოს ... დაქალაქის ხელოვნების მოღვაწეთა სახელით სტუმრებს გულთბილად მიესალმა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი დ. მჭედლიძე. სტუმრებს მიართვეს ყვავილების თაიგულები.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა მიროსლავ ჩანგალოვიჩმა.

კონცერტზე შესრულებულ იქნა იუგოსლავ კომპოზიტორების სიმონიტის, ზაიცის, ხრისტიჩის, გოტოვაცის და სხვათა ნაწარმოებები, აგრეთვე არიები ოპერებიდან, მოცარტის, როსინის, სმეტანას, ვერდის, პუჩინის, დვორჟაკის, ჩაიკოვსკის კამერული ვოკალური და საფორტეპიანო ნაწარმოებები.

კონცერტი დიდი წარმატებით ჩაიარა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ ... რომ სტუმრების პატივსაცემად გამართა ... ბაზობა, რომელზეც იყვნენ მსახიობები, კომპოზიტორები, ლიტერატურისა და მეცნიერების მოღვაწენი, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. (საქდესი).

## სპორტის ამბები

### საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გამარჯვება

ნორვეგიის დედაქალაქში ტანვარჯიშის ... შირის 100 წლისთავის გამო 17 ივნისს ოსლოში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება ტანვარჯიშში ნორვეგიის, დანიის, სსრ კავშირის, ფინეთისა და შვეციის სპორტსმენთა მონაწილეობით.

ამ შეჯიბრების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ასარეზობა მიმდინარეობდა მხოლოდ ნებისმიერ ვარჯიშში. ... შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა ტანმოვარჯიშის ა. აზარიანის გამარჯვებით (58,35 ქულა). მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. ჩუკარინი (სსრ კავშირი, 58,0 ქულა). მესამეზე — კალევე ... კარი (ფინეთი).

გამარჯვებულებს პრიზები გადაეცათ მათ მიერ მოპოვებულ ქულათა რაოდენობის, აგრეთვე ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშის დროს მიღებული ქულების მიხედვით. ა. აზარიანმა მიიღო ... ჯილდო — თასი, ვ. ჩუკარინმა — 2 თასი.

ოსლოს გაზეთები საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ოსტატობას მაღალ შეფასებას აძლევენ.

### დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება წყალბურთში

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის საცურაო აუზში დამთავრდა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება წყალბურთში სსრ კავშირის, უნგრეთის, რუმინეთის, იტალიისა და ეგვიპტის გუნდების მონაწილეობით.

ძლიერად ჩაატარეს შეხვედრები საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის გუნდებმა, რომლებსაც არც ერთი მატჩი არ წაუგიათ. ამ ორი ქვეყნის წყალბურთელთა კოლექტივების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 3:3.

სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდებმა შვიდ-შვიდი ქულა შეაგროვეს, მაგრამ უნგრეთის წყალბურთელთა კოლექტივს ბურთების უკეთესი შეფარდება აღმოაჩნდა, ამიტომ პირველი ადგილი მას მიეკუთვნა. სსრ კავშირის გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გამოვიდა რუმინეთის ნაკრები გუნდი, მეოთხეზე — იტალია, მეხუთეზე — ეგვიპტე.

რედაქტორი ნ. ჯაში.

---


**დღეს თბილისის თეატრებში**

ოპერისა და ბალეტის — გორდა (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით), რუსთაველის სახელობის — ახალგაზრდა მასწავლებელი, მარჯანიშვილის სახელობის — მარიამ სტიუარტი, გრიბოედოვის სახელობის — ბატონი ტოპაზი, სომხური დრამის — ლეგენდა სიყვარულზე, მუსიკალური კომედიის — თბილისის ცის ქვეშ.

**კინოთეატრებში**

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, ორჯონიკიძის სახელობის პარკი — ქართული ბალეტის ოსტატები, კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი — რიო ესკონდიდო, კოლმეურნე, კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი — თეთრთოვლა, კოლხიდა — მაკლოვია, კოლხიდა (საზაფხულო) — ქარიშხალი, ისანი (საზაფხულო) — კრაზანა, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — მეზვერავის გმირობა, დიდუბე — დილა მშვიდობისა, დიდუბე (საზაფხულო) — ქალი კამელიებით, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ავარა (I და II სერია), გორკის სახელობის კულტურის სახლი — მეწყემსის შვილი.



ქ. თბილისის ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქ. № 4)

ა. წ. 24 ივნისს დღის 12 საათზე

**მოწვეულია საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრების საანგარიშო-საარჩევნო კრება**

დასწრება ყველა ადვოკატისათვის სავალდებულოა.

რეგისტრაცია იწარმოებს საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში (ათარბეგოვის ქ. № 32).

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი.



**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში 1955-56 სასწავლო წლისათვის მიღების პირობები**

ტექნიკუმი ამზადებს ბუხჰალტრებს, მეხილე-მებოსტნე და მემინდვრე უმცროს აგრონომებს. ტექნიკუმთან არსებობს მემინდვრეობის დაუსწრებელი განყოფილება, რომელიც ამზადებს უმცროს მემინდვრე აგრონომებს. სწავლების ხანგრძლივობა მეხილეობა-მებოსტნეობის პროფილის მესამე კურსზე ჩარიცხულთათვის — ორნახევარი წელი, მემინდვრეობის და საბუხჰალტრო პროფილის პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის — ოთხი წელი, დაუსწრებლის პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის — ხუთი წელი.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი, დასწრებულზე 14-დან 30 წლამდე, დაუსწრებელზე კი განურჩევლად ასაკისა. მემინდვრეობისა და საბუხჰალტრო პროფილის დასწრებულ და მემინდვრეობის დაუსწრებელი განყოფილების პირველ კურსზე მიიღებიან ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლის სრული კურსი. სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები მიიღებიან მეხილეობა-მებოსტნეობის და დაუსწრებელი განყოფილების მესამე კურსზე.

დაუსწრებელზე შემსვლელი უნდა მუშაობდეს იმ სპეციალობის მიხედვით, რომელზეც ირჩევს სწავლას.

ტექნიკუმში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებმაც არასრული საშუალო სკოლის კურსი დაამთავრეს ფრიადზე, ხოლო საშუალო სკოლის კურსი — ვერცხლის ან ოქროს მედალზე, მიუხედავად სკოლის დამთავრების წლისა.

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდებს აბარებენ არასრული საშუალო სკოლის პროგრამით. სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), ქართულ ენაში (ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, მესამე კურსზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით: რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), მათემატიკაში (ზეპირი), ქართულ ენაში (ზეპირი).

განცხადებები შემოტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა ასლი, ნოტარიუსის მიერ შემოწმებული, ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ.), სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, სამხედრო ვალდებულთათვის სამხედრო ბილეთი ან მიწერის ფურცელი (ადგენს პირადად), ცნობა საცხოვრებელ ადგილიდან, დაუსწრებელზე შემსვლელნი დამატებით ადგენენ ცნობას სამსახურის ადგილისა და თანამდებობის შესახებ, არ სჭირდებათ დაბადების მოწმობა და ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ.

განცხადებები მიიღება, დასწრებულზე 31 ივლისამდე, დაუსწრებელზე — 1 აგვისტომდე, ისეთ პირთაგან, რომელნიც დაკავშირებული არ არიან სეზონურ სამუშაოსთან, 1 ოქტომბრიდან 1 იანვრამდე, ისეთ პირთაგან, რომლებიც დაკავშირებული არიან სეზონურ სამუშაოსთან.

მისაღები გამოცდები იწარმოებს დასწრებულზე 1-დან 20 აგვისტომდე, დაუსწრებელზე 1 ივლისიდან 5 სექტემბრამდე იმათთვის, რომლებიც დაკავშირებული არ არიან სეზონურ სამუშაოსთან, 1 დეკემბრიდან 5 თებერვლამდე, იმათთვის, რომლებიც დაკავშირებული არიან სეზონურ სამუშაოსთან.

ტექნიკუმში ჩარიცხულ ყველა მოსწავლეს დაენიშნება სტიპენდია. უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, გათბობა-განათებითა და საწოლებით.

ტექნიკუმთან არსებობს მუშათა კოოპერატივის სასადილო.

მისამართი: გურჯაანის რაიონი, სოფელი ბაკურციხე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.



სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო




**გრძელდება ხელმოწერა ცენტრალურ და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებზე 1955 წლის მეორე ნახევრისათვის**

დამტკიცებული კატალოგის მიხედვით.

ხელისმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებასა და კანტორაში.

„სოიუზპეჩატი“.



მოქალაქე გიორგი გერასიმეს-ძე ხაჩიბაბიანმა, მცხოვრებმა ჩუბინიძის ქ. № 18, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ ვარსენიკ გრიგოლის ასულ ხაჩიბაბიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ლენა არკადის ასულმა ჩხუბიანაშვილმა, მცხოვრებმა ქ. ლენინგრადში, გრიბოედოვის არხი № 160, აღძრა საქმე ქ. თბილისში, ლესელიძის ქ. № 57 მცხოვრებ მოქალაქე რევაზ ვასილის-ძე ჩხუბიანაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.



**დისერტაციების დაცვა**

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

1955 წ. 1 ივლისს, დღის 10 საათზე, № 93 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**გიორგი იროდის-ძე ბელთაძე**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ფრანკების წარმოშობის საკითხისათვის“.

1955 წ. 1 ივლისს, დღის 12 საათზე, № 93 აუდიტორიაში ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**გიორგი გიორგის-ძე პაიჭაძე**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Поход русских войск на побережье Каспийского моря в 1722-1723 г. г. и Грузия“.

1955 წ. 2 ივლისს, დღის 1 საათზე, № 37 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 3) ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**გიორგი თეოფილეს-ძე მაღნარაძე**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ფლუორი საქართველოს ზოგიერთი რაიონის მინერალურ და მცენარეულ ობიექტებში“.

1955 წ. 2 ივლისს, დღის 1 საათზე, № 107 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**იან იანის-ძე ბრაუნი**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Многоличность (полипросопия) грузинского глагола“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.



საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექცია, სამთო ფაკულტეტის დეკანატი და ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის კათედრა იუწყებიან დოცენტ

**სერგეი სტეფანეს-ძე გორბუნოვის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-VI, 8 ს. გამოსვენება 23-VI, 6 ს. კამოს ქ. № 30.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან

**მარიამ ივანეს ასულ ხოროშილოვას**

გარდაცვალებას.

მეუღლე მაშო, შვილები ელენე, თამარ, ალექსანდრე, გიორგი ოჯახებით და ნათესავები იუწყებიან

**საბა გრიგოლის-ძე ხელიმაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24, 25-VI, 8 ... გამოსვენება 26-VI, 5 ს. მუშათა ქ. № 27.

მეუღლე მართა, დები ლიზა, სალომე ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

**ილია გლახუნის-ძე აბაიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-VI ს... კვაცხუთში (ამბროლაურის რაიონი).

მშობლები ოლია, ტროფიმე, მეუღლე ფ... ლა, ძმა ომარ, და ნატო იუწყებიან

**კუკური ტროფიმეს-ძე ჩიტაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-VI, 8 ს. გა... სვენება 23-VI, 6 ს. ფალიაშვილის ქ. № 4...

საქვაპრომის ახალციხის განყოფილების მმართველობა, პარტორგანიზაცია და პრ... ორგანიზაცია იუწყებიან

**ალექსანდრე მოსეს-ძე დარჩიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VI ქ. მახა... ძეში.

გარეუბნის რადიომაუწყებლის მრეწველო... კომბინატის კოლექტივი იუწყება

**ვაგან კონსტანტინეს-ძე გუკასოვის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-VI, 8 ს. გა... სვენება 23-VI, 5 ს. მეჩნიკოვის ქ. № 11.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყობის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ინჟინერ-მი... მომწყობ

**ნიკოლოზ ავქსენტის-ძე ნოვიცკის**

გარდაცვალებას.

დედა კატო, ძმები არჩილ, ვახტანგ ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

**ნათელა ივანეს ასულ შიხაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-VI, 8 ს. გა... სვენება 23-VI, 6 ს. ჩუღურეთის I შესახ. №...

მამა შალვა წოწორია ოჯახით იუწყება

**თინა შალვას ასულ წოწორიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-VI, 8 ს. გა... სვენება 23-VI, 5 ს. მესხიშვილის ქ. № 1...


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-68-08, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-48, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 04135 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.